№20(21) 24.05.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერში:


**სტუმრად თანამემამულესთან**

გია გურული მასპინძლობს „სარბიელის“ კორესპონდენტს

მე-3 გვერდი

**პაემანზე პარიზში**

„როლან გაროსი“ და... „მუხის ფოთოლი“

მე-4 გვერდი

**ბალი, სადაც ვარსკვლავებს ზრდიან**

სტუდენტური კალათბურთის „უიქ ენდი“

მე-5 გვერდი

**სერგეი ფიოდოროვი**

„ამერიკაში ყოველმხრივ თავისუფალი ვარ“

მე-6 გვერდი


# უსწრეთ მაინც!

## „დიდი კროსი“ თბილისში

ხვალ, ეროვნულ სტადიონზე, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე დარიგდება: მანქანა, 6 იაპონური მაგნიტოფონი, საბჭოთა წარმოების ტელევიზორები, მაცივრები და სხვა ნივთები. ოღონდ გაითვალისწინეთ, მათ შესაძენად ფული კი არ არის საჭირო, არამედ ხუთიოდე კილომეტრის გარბენა თავისუფლების მოედნიდან სტადიონამდე. ამ საჩუქრებს უყველაზე სწრაფები მიიღებენ, სხვებს კი მშვენიერი ვარჯიში შეგრჩებათ.

დიახ, ხვალ საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ატარებს მძლეოსნურ კროსს, რომელიც 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ეძღვნება. ვინც შეჯიბრებაში არ გამოხვალთ, შეგიძლიათ ქუჩაში უცქიროთ მორბენლებს. თუმცა უკეთეს ვარიანტსაც შემოგთავაზებთ: აუცილებლად დაესწარით ფეხბურთის მატჩს 1975 და 1981 წლებში ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ტრიუმფატორებს, კიევისა და თბილისის დინამოელებს შორის. მიღებული (უეჭველი) სიამოვნების გარდა, ერთგვარად ქველმოქმედნიც გახდებით, რადგან ამ მატჩის მთელი შემოსავალი მიხეილ მესხის ოჯახს გადაეცემა, (ამით მის ხსოვნასაც მიაგებთ პატივს). გარდა ამისა, იქვე ნახავთ კროსის საინტერესო ფინიშს და ჯილდოების განაწილებასაც. ასე რომ, ხვალ მიაშურეთ ეროვნულ სტადიონს.

# ვითომ დირექტივა უკეთესი იყო?



იოსებ შავერდაშვილი

გია ახალაძის ფოტო

ახლა თითქოს უკეთესი დროა იმისთვის, რომ ცალკეულმა რესპუბლიკებმა ერთმანეთთან სპორტული ურთიერთობის საკითხი თვითონვე გადაწყვიტონ და სხვას, საერთო „უფროსს“, არ დაეკითხონ. მაგრამ საერთო ენის გამონახვა, ეტყობა, ჯერ მაინც არ ხერხდება.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვის მძლეოსანთა მატჩი, რომელსაც ჩვენმა ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. საკვირველია, მაგრამ ადრე ასეთი შეხვედრები (რომლებშიც სომხეთის გუნდიც მონაწილეობდა), მეტ ინტერესს იწვევდა და გაცილებით ხალხმრავალიც იყო, თუმცა, გუნდების ასეთი რეგიონალური დაჯგუფება (ამიერკავკასია და მოლდავეთი) დირექტიული წესით მოხდა. ისე კი დირექტივების „ხათრი“ მაშინ ყველას ჰქონდა.

ახლა როგორც ვთქვით, ხელსაყრელი დროა, რომ მსგავსი ტურნირები მართლაც იქცეს რესპუბლიკათა შორის კეთილი ურთიერთობის კიდევ ერთ საფეხურად, მაგრამ... თბილისის მატჩზე მოლდოვიდან მხოლოდ 15 მძლეოსანი ჩამოვიდა, აზერბაიჯანიდან — 35, მთელი გუნდის დასაკომპლექტებლად კი საჭირო იყო არანაკლებ 50 სპორტსმენისა. საქართველოს ნაკრებს, თუნდაც თავისი სისუსტის გამო, არ შეუძლია ნაწილობრივ მაინც შეავსოს ასეთი „ღრეჩო“ და აშკარა იყო, რომ მატჩი, როგორც იტყვიან, „არ გამოვიდა“, მიუხედავად ორგანიზატორთა, პირველ ყოვლისა კი მსაჯთა მცდელობისა.

ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ჩვენი და ჩვენი მეტოქეების გზები

(დასასრული მე-2 გვერდზე)



კახი ასათიანი

ჩვენს სპორტში (და არა მარტო სპორტში) ახლა დიდი და ერთგვარად უმადური სამუშაოა შესასრულებელი, ხოლო შედეგი, ოქრომაძიებლის შრომის არ იყოს, ვინ იცის, როდის გამოჩნდება. ამ ჯაფაში გზა და გზა „სიხალისეს“ შეიტანს მუდმივი დაუსწრებელი დუელი საკავშირო სპორტკომიტეტთან, რომელმაც დაბეჯითებით აღგვითქვა, რომ გზას ყველგან მოგვიჭრის.

ასეთი „საქმის“ გადადება მათ არ სჩვევიათ. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა ბატონმა კახი ასათიანმა სპორტულ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მოიყვანა ამგვარი „დუელის“

# გერმანული ვარიანტი რუსული „აკომპანემენტით“

მაგალითები. საქმე ეხება საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობას ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში (ევროპის სამბისტთა ალტერნატიული პირველობა მილანში და ევროპის წყალმოთხილამურეთა ჩემპიონატი ფოთში). სხვათა შორის, ანგარიში ჯერჯერობით „საყაიმოა“, ან უპირატესობა უფრო ჩვენს მხარეზეა.

უმეტესად კი, სამწუხაროდ, „ფავორიტები“ ისინი არიან. შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით მოეწყო, დეპარტამენტის დირექტორმა ამ თემასთან დაკავშირებულ ბევრ შეკითხვას გასცა პასუხი. მოვიყვანთ რამდენიმეს.

**კითხვა: — ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის სურვილი ცხრა რესპუბლიკამ განაცხადა. ხომ არ დაკავშირებიხართ დანარჩენ ექვსს, რათა ერთობლივი მოქმედების პროგრამა შეგემუშავებინათ?**

— ეს უკვე ვცადეთ და შეხვედრის თბილისში ჩატარებასაც ვაპირებდით. მაგრამ შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებით ცოტა ხანს თავი შევიკავეთ. ჯერ დაველოდებით საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მიხაილ გორბაჩოვის შეხვედრის შედეგებს, რომელიც, როგორც ვიცით, მაისის ბოლოს უნდა შესდგეს.

**კითხვა: — რამდენიმე დღის წინათ თურქეთში ბრძანდებოდით. თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ალბათ მოსინჯავდით ნიადაგს მასთან სპორტული ურთიერთობის გაღრმავებისთვის.**

— რა თქმა უნდა. მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტის მინისტრი იმ დროს საზღვარგარეთ იყო და მხოლოდ იქაურ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვესაუბრეთ. მან მაშინვე მიჩვენა ფიფა-ს გენერალური მდივნის ბლატერის წერილი, რომლის მიხედვითაც თურქეთს ეკრძალება ლიტვისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციებთან ურთიერთობა. ისე კი ფედერაციის თავმჯდომარემ, რომელიც ფიფა-ს კომისიის წევრია და ბლატერს კარგად იცნობს, სიტყვიერად დახმარება აღმითქვა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ბლატერთან საერთო ენის გამონახვა იმიტომ არის საჭირო, რომ მას ფიფა-ს პრეზიდენტის ავლანჟის მემკვიდრედ მიიჩნევენ...

დეპარტამენტის დირექტორმა ისიც აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მთავარი იმედი საერთაშორისო იზოლაციის გარღვევისა არის მოსალოდნელი სამთავრობო ღონისძიებები, თუმცა კონკრეტული განმარტებისაგან თავი შეიკავა.

რაც შეეხება შინაურ ამბებს, ამაზე ბატონმა კახი ასათიანმა თქვა: „მე საფრანგეთსა და გერმანიაში იქაურ სპორტის სტრუქტურებს გავეცანი. ახლა ვცდილობ ჩვენთან გერმანული მოდელი დავამკვიდროთ. სპორტის დეპარტამენტი (გერმანიაში — სამინისტრო — გ.პ.) ხელშეკრულებებს დადებს ცალკეულ სპორტულ ფედერაციებთან, შემოწმებით კი მხოლოდ მათ ფინანსურ მდგომარეობას შეამოწმებს (ჩვენს ფედერაციებს, რომლებსაც ახლა სახელმწიფო-საზოგადოებრივი სტატუსი აქვთ, ძირითადად დეპარტამენტი აფინანსებს)“.

ხელშეკრულება მართლაც თანამშრომლობის პროგრესული ფორმაა, მით უმეტეს ფედერაციების ძველი უფლებების ფონზე, მაგრამ „სრული ჰარმონია“ არა გვგონია ასე ერთბაშად დამყარდეს. ყოველ შემთხვევაში, დეპარტამენტი ზოგჯერ თავის პირობებსაც კარნახობს ფედერაციებს ხელმძღვანელობის არჩევისას და არც პოზიციათა სხვადასხვაობაა იშვიათი, თუმცა ასეთი ამბები ყოველთვის თან სდევს სტრუქტურულ ცვლილებებს.

როგორც დეპარტამენტის დირექტორმა თქვა, საქართველოში სპორტის განვითარების გეგმის თანახმად რესპუბლიკა დაიყოფა ცხრა რეგიონად და თითოეულს ეყოლება თავისი დირექტორატი (ან სხვა დასახელების ორგანო), ხოლო თითოეულ პრეფექტს — მრჩეველი სპორტის საკითხში. ასევე რადიკალურად შეიცვლება სპორტულ სასწავლებლებში სწავლების მეთოდიკა. მაგალითად, ინტერნატის ნაცვლად შეიქმნება სპორტული გიმნაზიები, სადაც მხოლოდ რვა აკადემიურ საგანს შეისწავლიან. ის, ვინც „დიდ სპორტში“ ვერ მოხვდება, დაწყებით სამხედრო მომზადებას გაივლის და შემდგომში, უფრო სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ეროვნული გვარდიისა და ჯარის კადრებს შეემატება. შეკითხვაზე, ხომ არ არის ეს იდეა მთავრობის მიერ შეთავაზებული, ბატონმა კახიმ უარყოფითად უპასუხა, თანაც ისიც დასძინა, საქართველოს ხელისუფლება ჩვენ სავსებით გვენდობაო.

კახი ასათიანმა აღნიშნა იმ საქმეთა სიმრავლე, რომელთა განხორციელებასაც შეუდგა ან მალე შეუდგება სპორტის დეპარტამენტი (ახლა უცებ ყველას ვერც გავიხსენებთ). მაგალითად, იღებენ სარეკლამო ფილმს საქართველოს მიღწევებზე, რათა იგი საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს დაეგზავნოს. გადასაწყვეტია სად ჩატარდება ჩიბურდანიძე — სიუ ჯუნის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. წამოყენებულია ჰონ-კონგის კანდიდატურა, მაგრამ ეს აშკარად ჩინელ მოჭადრაკეს აძლევს ხელს. მიმდინარეობს მუშაობა სპორტული სამოსისა და აღჭურვილობის მეტად მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად, რადგან მოსკოვმა ყველაფრის მოწოდება შეგვიწყვიტა. გარდა ამისა, ეძებენ პარტნიორებს, რათა ჩვენმა საუკეთესო სპორტსმენებმა კონტაქტის გზით შესძლონ უცხოეთის კლუბებში გამოსვლა და ა.შ.

დეპარტამენტის დირექტორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სპორტული კლუბებისა და უმაღლესი სასწავლებლების როლს სპორტის შემდგომი განვითარების საკითხში. მან ამ სფეროში მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას.

სულ ბოლოს კი დაიდო ჯენტლმენური შეთანხმება, რომ ასეთი შეხვედრები რეგულარულად მოეწყობა.

**გიორგი პავლიაშვილი**



გია ახალაძის ფოტო

ფინალისტები პპ-2 ვარჯიშში. მარცხნიდან: დინა კულჩიცკაია, დარეჯან დუმბაძე, მეგი ხუბულაშვილი, ოლგა სამოილენკო, ნინო უჩაძე, ნინო სალუქვაძე.

# ვიდრე სიტუაცია შეიცვლება

ალბათ არ უნდა გვქონდეს მაინცდამაინც დიდი იმედი, რომ იქამდე, ვიდრე ჩვენს სპორტში ვითარება ასე თუ ისე გაირკვევა, რესპუბლიკურ ტურნირებზე შეჯიბრების სასურველ დონესა და ენთუზიაზმს ვიხილავთ. საბედნიეროდ, არის გამონაკლისებიც, მაგრამ, მთლიანად, უახლოესი მიზნის უქონლობა ცუდ სამსახურს უწევს სპორტსმენებს. ისიც გვინდა გითხრათ, რომ ჩვენ, უბრალოდ, დღევანდელ სიტუაციაზე მოგახსენებთ, თორემ მომავალში ბედი ჩვენსკენ რომ შემობრუნდება, ამისი დიდი იმედი გვაქვს, ისევე როგორც მრავალ სპორტსმენსა და მწვრთნელს. დღეს ტყვიის მსროლელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გვინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. გრძელ ლაპარაკად იგი, ალბათ, არ ღირდა. არც მონაწილეები იყვნენ მრავლად და რამდენიმე გამორჩეული შედეგიც არავის უჩვენებია. მით უმეტეს, რომ შეჯიბრება მხოლოდ პნევმატური იარაღის სროლაში ჩატარდა (მიზეზზე — ქვემოთ). თუმცა გამონაკლისი მაინც იყო და მკითხველს მის გამოსაცნობად დიდი ფიქრი არ დასჭირდება. ჩვენი საოცარი სნაიპერი ნინო სალუქვაძე კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო. მან პნევმატური პისტოლეტის სროლაში შესანიშნავი შედეგი — 389 ქულა აჩვენა, ფინალში კიდევ 96 მიუმატა და დიდი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

უეფას თასი

ფინალი

**«ინტერი» - „რომა“**

**2:1**

I მატჩი — 2:0

II მატჩი — 0:1

## ფეხბურთი

# ეროვნული ჩემპიონატი

### XII ტური

ალაზანი — შევარდენი-06 1:1
ამირანი — ივერია 1:1
სულორი — სამგურალი 3:1
მარგვეთი — მზიური 2:1
იბერია — სანავარდო 6:0
გურია — კოლხეთი 4:1
გორდა — დილა 2:3
ქუთაისი — მერცხალი 4:0
კოლხეთი-13 — ოდიში 2:0
ბათუმი — ცხუმი 3:2

### გამოტოვებული IX ტური

კოლხეთი-13 — ალაზანი 2:0
ბათუმი — ქუთაისი 3:1
ცხუმი — გორდა 2:1
ოდიში — გურია 1:1
მერცხალი — იბერია 0:2
კოლხეთი — სულორი 3:0
სანავარდო — ამირანი 3:1
მზიური — შევარდენი-06 1:0
სამგურალი — ივერია 4:0

**19 მაისს გორში გლოვის დღედ იყო გამოცხადებული, რის გამოც არ შედგა მე-9 ტურის გამოტოვებული შეხვედრა „დილასა“ და „მარგვეთს“ შორის, რომელიც 25 მაისს გაიმართება. 27 მაისს შედგება მეორე ტურის მატჩის გადათამაშება „სულორისა“ და „ქუთაისს“ შორის.**

### XIII ტური

ცხუმი — ალაზანი 5:0
ოდიში — ბათუმი 2:0
მერცხალი — კოლხეთი-13 2:1
დილა — ქუთაისი 3:3
კოლხეთი — გორდა 1:1
სანავარდო — გურია 1:2
მზიური — იბერია 0:0
ივერია — სულორი 1:0
შევარდენი-06 — ამირანი 1:1

**წყალტუბოში წვიმამ მოედანი დატბორა, რის გამოც სამგურალისა და მარგვეთის შეხვედრა გადაიდო.**

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იბერია (თბილისი) | 12 | 9 | 3 | 0 | 28:4 | 30 |
| 2. | გურია (ლანჩხუთი) | 12 | 7 | 4 | 1 | 15:8 | 25 |
| 3. | ბათუმი (ბათუმი) | 12 | 7 | 2 | 3 | 19:13 | 23 |
| 4. | ოდიში (ზუგდიდი) | 12 | 6 | 2 | 4 | 21:10 | 20 |
| 5. | ცხუმი (სოხუმი) | 12 | 6 | 2 | 4 | 19:13 | 20 |
| 6. | კოლხეთი-13 (ფოთი) | 12 | 5 | 2 | 5 | 17:14 | 17 |
| 7. | სამგურალი (წყალტუბო) | 11 | 5 | 2 | 4 | 12:10 | 17 |
| 8. | ქუთაისი (ქუთაისი) | 11 | 5 | 2 | 4 | 18:17 | 17 |
| 9. | გორდა (რუსთავი) | 12 | 4 | 3 | 5 | 19:15 | 15 |
| 10. | კოლხეთი (ხობი) | 12 | 4 | 3 | 5 | 15:13 | 15 |
| 11. | დილა (გორი) | 11 | 4 | 3 | 4 | 19:19 | 15 |
| 12. | მზიური (გალი) | 12 | 4 | 3 | 5 | 11:14 | 15 |
| 13. | მარგვეთი (ზესტაფონი) | 10 | 4 | 2 | 4 | 12:14 | 14 |
| 14. | მერცხალი (ოზურგეთი) | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | 13 |
| 15. | ალაზანი (გურჯაანი) | 12 | 4 | 1 | 7 | 12:22 | 13 |
| 16. | შევარდენი-06 (თბილისი) | 12 | 3 | 3 | 6 | 19:16 | 12 |
| 17. | სულორი (ვანი) | 11 | 3 | 3 | 5 | 12:18 | 12 |
| 18. | სანავარდო (სამტრედია) | 12 | 3 | 3 | 6 | 12:27 | 12 |
| 19. | ივერია (ხაშური) | 12 | 3 | 2 | 7 | 6:32 | 11 |
| 20. | ამირანი (ოჩამჩირე) | 12 | 2 | 4 | 6 | 13:21 | 10 |

# პროტესტი დააკმაყოფილეს

თბილისის გუნდების „იბერიისა“ და „შევარდენი-06“-ის პროტესტები დაკმაყოფილებულია. ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა მათი გასვლითი მატჩები ხობის „კოლხეთთან“ და ხაშურის „ივერიასთან“ და დაადგინა, რომ ორივეგან მასპინძელთა გულშემატკივრებმა გავლენა იქონიეს მატჩის მსვლელობაზე და შედეგზე. ხობის „კოლხეთსაც“ და ხაშურის „ივერიასაც“ ჩაეთვალათ წაგება ანგარიშით 0:3.

# დღეს ფინალია

თბილისში მეორედ ტარდება მერაბ კოსტავას სახელობის ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მონაწილეთა დაბადების წელია 1976. ცნობილი მხატვარ-დიზაინერის სერგო სავანელის მიერ შესრულებულ და ტურნირის ორგანიზატორთათვის უსასყიდლოდ გადაცემულ თასს ერთმანეთს ეცილებიან თბილისის „მერანი“, „ავაზა“, 35-ე სკოლის გუნდი, „იბერია“, „შევარდენი“, „მერანი-2“, ხობის, გურჯაანის, რუსთავისა და გერმანიის ზეულბადენის მიწის ნაკრები გუნდი. ტურნირის სპონსორები არიან მრავალდარგობრივი კოოპერატივი „გორდა“, ასოციაცია „იყალთო-XXI“ და კომერციულ-ტურისტული ფირმა „ბეტა-კონტაქტი“. გერმანელთა გუნდი „ხანდაზმულობის“ გამო (ისინი სხვებზე ერთი წლით უფროსები არიან), ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეობს. მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირველ მატჩში მასპინძელთა გუნდთან — „მერანთან“, რომელსაც დიდი ანგარიშით სძლია.

კითხვაზე, თუ რატომ არის ტურნირი მერაბ კოსტავას სახელობის, ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საფეხბურთო კლუბ „მერანის“ უფროსმა მწვრთნელმა თამაზ ჯაშმა გვიპასუხა:

— ვერისუბნელი-კაცი ვარ და ბატონ მერაბს ბავშვობიდან ვიცნობდი. ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით 49-ე სკოლის ეზოში და ვთამაშობდით ფეხბურთს. ერთხელ ბატონმა მერაბმა ჩვენგან ისეთი გუნდი შეკრა, რომ სხვა უბნის გუნდებს ერთი-მეორის მიყოლებით ვუგებდით. მას ყოველთვის ჰქონდა თავისი ჩამოყალიბებული შეხედულება ფეხბურთზე. დღეს, როდესაც ბატონი მერაბის სახელი ჩვენთვის ამდენს ნიშნავს, „მერანის“ საფეხბურთო სკოლამ გადაწყვიტა მისი სახელობის ტურნირის ჩატარება. ტურნირი ყოველწლიურია და მასში თანდათანობით სულ უფრო მეტი საზღვარგარეთული გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

დღეს 16 საათზე 26 მაისის სახელობის სტადიონზე გაიმართება ფინალური შეხვედრა.

ილია ბაბუნაშვილი

### სპორტულ ფედერაციებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კრივის, ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის ფედერაციების დამფუძნებელი კონფერენციები. კრივის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე. ძიუდოს ფედერაციას სათავეში ჩაუდგა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, ქართული ჭიდაობის ფედერაციას — საქართველოს რესპუბლიკის სატყეო და სოფლის მეურნეობის მინისტრი ნიკოლოზ იაშვილი.

## რაგბი

# ნუ ენდობით თანამსაჯს!

კვირას ვაკის სტადიონს, როგორც იქნა, ჯადო აეხსნა. მართალია, „მიმინო“ — „აიას“ თამაში, ბავშვ ფეხბურთელთა შეჯიბრების გამო, გამოცხადებულზე მთელი 80 წუთით გვიან დაიწყო, ქუთაისელებიც მატჩის დღესვე ჩამოვიდნენ ავტობუსით, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ასეთი რაგბი წელს არ გვინახავს.

ამ კვირადღემდე „აია“ ხუთი კვირის უთამაშებელი იყო, „მიმინო“ — სამისა. ქუთათურებს სპორტული ფორმა ცოტა დაკარგული კი ჰქონდათ, მაგრამ თამაში მაინც რიხიანად დაიწყეს: კარში დასარტყმელ საჯარიმოებს ლელოს გასატანად ათამაშებდნენ, აქაოდა ისედაც გავიმარჯვებთო. მართალია, „აია“ მალე დაწინაურდა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ საქმე მთლად ისე ვერ ყოფილა, ეროვნული ჩემპიონატის განმქიქებლებს საკბილოს რომ აძლევს ხოლმე. ზოგიერთი გუნდისგან განსხვავებით, „მიმინო“ ბოლომდე ვაჟკაცურად ებრძოლა ჩემპიონს, მისი ბარემ ათი იერიში სულ ბოლო წამს დიდებული ბოჭვებით მოიგერია და ლაღად თავადაც არაერთხელ შეუტია.

და მაინც, „აიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა მას შემდეგ, რაც შეხვედრის ბოლო ათ წუთში 13 ქულა მოაგროვა. აი, მანამდე კი ვინ მოიგებდა, ძნელი სათქმელი იყო, რაკიღა „მიმინო“ ერთობ გაკადნიერდა და მარჯვენა ფრთაზე ლელოც გაიტანა, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. საქმე ისაა, რომ ამ კიდის ხაზთან თანამსაჯად მიმინოელი იყო; თანაც ლელოს გაშვებას სტუმართა ენერგიული პროტესტი მოჰყვა, მოიერიშე კიდეზე გადავიდაო, რამაც მსაჯს აფიქრებინა, რომ თანამსაჯი თანაგუნდელთა სასარგებლოდ განაბულიყო. არადა ის, რომ გუნდების წარმომადგენლები თანამსაჯებად ილვწიან, რაგბის წესი და ტრადიციაა — ოღონდ იქ, სადაც ამ თამაშს საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. აი, ჩვენთან კი მსაჯი მართლაც გაფაციცებული უნდა იყოს, თანამსაჯმა რომ არ იცრუოს!

მერე იყო და, როცა მეორე ნახევრის შუაწელში „აიას“ უდავო გამარჯვება ცოტა სათუო შეიქნა, „მიმინომ“ უეცრად უნდობლობა გამოუცხადა თავისს დამრტყმელ ძნელაძეს (10), ვინაც მანამდე ორი საჯარიმო გაიტანა, ხოლო როცა აიელმა ნ. ძაგნიძემ (10) ორი არეკნი შეაგდო, ყველაფერი ცხადი გახდა.

„აიას“ უმთავრესმა მეტოქემ — თბილისის „ვესტამ“ ამ ტურში ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა. გუნდმა 70:3 მოუგო „შევარდენს“, რომელიც ესპანეთში ორკვირიან ტურნეს მთლად მოუქანცავს. უცხოეთში შევარდენელები თურმე რაგბისთვის უჩვეულო განრიგით, დღეგამოშვებით თამაშობდნენ; შვიდი შეხვედრიდან ექვსში გაუმარჯვნიათ და ოთხგუნდიანი საერთაშორისო შეჯიბრებაც მოუგიათ. არაქათგაცლილ „შევარდენს“ მერე, შუა კვირაში, 13 მოთამაშით ქუთაისში თამაშისთვის ჩაუსწრია, მაგრამ „აიას“ რიცხვნაკლული მეტოქე დაუზოგავს და მხოლოდ 32 ქულით დაუმარცხებია. ამისდა მიუხედავად, ქუთაისის სარაგბო საზოგადოებრიობა გაუგულისებია ეროვნული ჩემპიონატისადმი თბილისელთა ამგვარ არასერიოზულ დამოკიდებულებას: მართლაც, ჩემპიონატის დებულებით ხომ ნებადართული იყო თამაშის სახვალიოდ გადადება.

„ვესტა“ „შევარდენს“ „აიასავით“ როდი მოექცა. ამჯერად ვესტელებმა ალალი სპორტული სულისკვეთების ერთგულება გამოიჩინეს, თავი გამოიდეს და სიცხის მიუხედავად, შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოავლინეს. განსაკუთრებით ისახელა თავი მარჯანიშვილმა (13), რომლის მეორე და მესამე ლელოებმა პირველი ნახევრის მიწურულს მეტოქე მთლად გატეხა, რაც საბოლოოდ „შევარდენისთვის“ კატასტროფად იქცა.

ახლა ქვედა ლიგების შესახებაც. იმერის ლიგის ლიდერთა შეხვედრაში ჩოხატაურის „ჯანი“ ქუთაისში თავიდან კი უგებდა წყალტუბოს „სათაფლიას“, მაგრამ „მასპინძელმა“ კირიაგიდმა (15) თითო საჯარიმო და ლელო გაიტანა და გუნდი დააწინაურა. საბოლოოდ „სათაფლიამ“ 8 ბურთით გაიმარჯვა და „ჯანს“ ქულით გაუსწრო. ამერის ლიგის ლიდერმა „ივერიამ“ „სამედიცინოს“ მხოლოდ მას შემდეგ მოუგო, რაც მოედანზე „ბებრები“ — ბურჯი ბერიაშვილი და შუამარბი გარუჩავა შემოიყვანა. მათ გარდა ივერიელთაგან თავი გამოიჩინეს პინაიშვილმა (11) და თენგიზ თედორაძემ(5), რომელიც კლასიკური ჭიდაობიდან რაგბში საბოლოოდ გადმოვიდა. ერთმანეთთან კინკლაობისათვის მოედანი დაატოვებინეს ივერიელ ჩაჩუას (13) და სამედიცინოელ გეგელაშვილს (15). ეს ამ ჩემპიონატში უკვე მესამე „ვახტანგური“ გაძევებაა.

ზაალ გიგინეიშვილი

(ანგარიშები იხილეთ მე-6 გვერდზე)

### ეროვნული ლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 5 | 5 | 0 | 0 | 125:20 | 20 |
| 2. გელათი | 5 | 3 | 1 | 1 | 67:45 | 15 |
| 3. ვესტა | 4 | 3 | 0 | 0 | 170:6 | 12 |
| 4. მიმინო | 4 | 1 | 1 | 2 | 34:52 | 8 |
| 5. რაში | 3 | 1 | 0 | 2 | 19:55 | 6 |
| 6. ყოჩები | 4 | 0 | 2 | 2 | 30:91 | 6 |
| 7. შევარდენი | 3 | 1 | 0 | 2 | 23:117 | 6 |
| 8. იმერეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 32:56 | 5 |
| 9. აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | 15:73 | 4 |

### ამერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ივერია | 4 | 1 | 0 | 135:52 | 18 |
| 2. სსფი მარიხი | 3 | 2 | 0 | 86:18 | 16 |
| 3. რუსთავი | 3 | 1 | 1 | 84:36 | 15 |
| 4. უნივერსიტეტი | 2 | 0 | 3 | 78:43 | 11 |
| 5. სამედიცინო | 1 | 0 | 4 | 41:46 | 8 |
| 6. მეორე აკად. | 0 | 0 | 5 | 12:241 | 5 |

### იმერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სათაფლია | 4 | 1 | 0 | 129:24 | 18 |
| 2. ჯანი | 4 | 0 | 1 | 92:48 | 17 |
| 3. აიეტი | 2 | 1 | 1 | 69:38 | 11 |
| 4. გელ. სკოლა | 1 | 0 | 3 | 38:91 | 7 |
| 5. ფაზისი | 1 | 0 | 2 | 28:75 | 6 |
| 6. ლილე | 0 | 0 | 5 | 18:98 | 5 |

# ტურის ანონსი

**შაბათს:** „ვესტა“ — „იმერეთი“ (ვაკე, 18.00), „ივერია“ — „მარიხი“ (ვარკეთილი, 15.30), „მეორე აკადემია“ — „სამედიცინო“ (ვარკეთილი, 17.00), „გელათის სკოლა“ — „ჯანი“. **კვირას:** „გელათი“ — „შევარდენი“, „აია“ — „აკადემია“, „უნივერსიტეტი“ — „რუსთავი“ (ვარკეთილი, 16.00), „სათაფლია“ — „აიეტი“, „ლილე“ — „ფაზისი“. **ორშაბათს:** „რაში“ — „მიმინო“.

## მძლეოსნობა

# ვითომ დირექტივა უკეთესი იყო?

(დასასრული. დასაწყისი პირველ გვერდზე)

ერთგვარად გაიყარა. ისინი საბჭოთა სპორტის სტრუქტურაში დარჩნენ, ჩვენ — არა. გარდა ამისა, ამ მატჩის დონე აღარ აკმაყოფილებს მოლდოვისა და აზერბაიჯანის საუკეთესო მძლეოსნებს, რომელთაც ახლა ჩვენთან შედარებით შეჯიბრებების ფართო არჩევანი აქვთ. უნდა გავითვალისწინოთ რთული პოლიტიკური სიტუაციაც.

მძლეოსანთა ტურნირის საერთო დონე ყოველთვის ვერ მოქმედებს ცალკეულ მიღწევებზე. მაგალითად, თუ ჩვენი სპრინტერი ვაჟები ძალზე სუსტად გამოვიდნენ, უროს ტყორცნაში მართლაც შესანიშნავი შედეგი აჩვენა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის მესამეკურსელმა იოსებ შავერდაშვილმა (იგი გარდაბნის რაიონის სოფელ პატარა ლილოს მკვიდრია). მან 7,260 კგ სიმძიმის ლითონის წნელმობმული ბირთვი 78,12 მეტრზე ისროლა და 48 სმ-ით გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი, რომელიც მთელი თექვსმეტი წელი ცნობილ მძლეოსანს ჯუმბერ ფხაკაძეს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ამას წინათ ქართველი მძლეოსანი თავის მწვრთნელ ომარ ოდიშვილთან ერთად იუგოსლავიაში მიიწვიეს და იქ მასპინძელი ქვეყნის ზამთრის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა.

მატჩში თავი გამოიჩინა რამდენიმე სხვა მონაწილემაც, მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელმა ოლგა ბოლშოვამ. სხვათა შორის, ოლგას მამა, ვიქტორ ბოლშოვი რომის ოლიმპიადაზე რობერტ შავლაყაძესთან ერთად ასპარეზობდა და მე-5 ადგილი დაიკავა, ჩვენმა მძლეოსანმა კი, მოგეხსენებათ, მაშინ პირდაპირ ფანტასტიკური გამარჯვება იზეიმა (მატჩის ტექნიკური შედეგები იხ. მე-6 გვერდზე).


გია ახალაძის ფოტო

რობერტ შავლაყაძე და ოლგა ბოლშოვა

## ტყვიის სროლა

# ვიდრე სიტუაცია შეიცვლება

(დასასრული. დასაწყისი პირველ გვერდზე)

უპირატესობით გაიმარჯვა.

ჩემპიონატზე იმიტომ გამოიყენეს მხოლოდ პნევმატური იარაღი, რომ სხვა, მათ, უბრალოდ, არ ჰქონდათ. ტყვიის სასროლი თოფები და პისტოლეტები დიდი ხანია, რაც მილიციამ ჩამოართვა მსროლელებს — ამ ბედუკუღმართობაში არავინ მოიტაცოსო.

ისე კი უნდა ითქვას, იყო კიდეც ამგვარი შემთხვევა, მაგრამ თემქაზე დოსააფის სასროლეთში მისულ მძარცველებს მხოლოდ პნევმატური იარაღი დახვდათ. მაინც წაიღეს, თუმცა ისინი ჩიტებზე ნადირობაში თუ გამოადგებოდათ, მსროლელებმა კი მათთვის მეტად საჭირო იარაღი დაკარგეს.

თოფ-იარაღის ჩამორთმევის გამო სნაიპერებმა მართლაც თავდაცვით ღონისძიებას მიმართეს, ახლახან გამართულ მსროლელთა რესპუბლიკური ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი თენგიზ კიტოვანი და... როგორც სასროლეთზე მითხრეს, იარაღის ნაწილი უკვე დაუბრუნდა მსროლელებს. აქვე ვიტყვი, რომ ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ჩვენი სახელოვანი მესტენდურე თამაზ იმნაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად — თამაზ ლეკიშვილი.

დიდი დეფიციტია ტყვია-წამალიც, განსაკუთრებით კი პნევმატური იარაღისა...

ნინო სალუქვაძისთანა სნაიპერს ალბათ მსროლელთა ნებისმიერი უცხოური კლუბი ინატრებდა. ნინომ გვითხრა, რომ ჯერ არავითარ კონტაქტზე არ არის ლაპარაკი. იგი, უბრალოდ, ელოდება თუ რა იქნება...

# გია გურული: უცხოურ გუნდებში თამაში ყოველმხრივ სასარგებლოა



გია გურული (მარჯვნივ) და ოთარ კორღალიძე გასახდელში თბილისის „დინამოს“ მორიგი თამაშის შემდეგ.

პოლონეთში გამგზავრების წინ „სარბიელის“ რედაქციისაგან მივიღე დავალება — შევხვედროდი და მესაუბრა გია გურულთან, რომელიც ამჟამად ქალაქ კატოვიცეს საკლუბო გუნდის გკს-ის შემადგენლობაში თამაშობს.

ქალაქ ჩესტოხოვში საერთაშორისო ჭადრაკო ტურნირის დამთავრების შემდეგ, რომელშიც ქართველ მოჭადრაკეთა ჯგუფიც მონაწილეობდა, კატოვიცეში გავემგზავრეთ. ჩვენი ჩასვლის შესახებ იცოდა ერთმა იქაურმა ოჯახმა, რომელთანაც კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ოჯახის უფროსი ზიგმუნდ კაჩმარეკი თავისი „მერსედესით“ დაგვხვდა და სასტუმროში არ გაგვიშვა, — ჩემთან წამოდით, იქ უკეთ დაისვენებთო. ვთხოვე, გკს-ის ბაზაზე შევიაროთ-მეთქი.

ქალაქის ცენტრალურ უბნებს გავცდით და რამდენიმე წუთში გკს-ის სასტუმროს ხუთსართულიან შენობას მივადექით. ადმინისტრატორმა გვითხრა, გია ქალაქშია გასული და როდის დაბრუნდება, არ ვიციო.

მე მას ბარათი დავუტოვე, მოგვიანებით კი პოლონელ მასპინძლებთან ერთად კვლავ სასტუმროში ვიყავი. ადმინისტრატორი შეცვლილიყო. ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, გიას დაურეკა, სტუმრები გელოდებიან და ჰოლში ჩამოდიო.

სულ მალე გულღიად მომღიმარი გია ჩვენთან გაჩნდა და მესამე სართულზე აგვიძღვა. მის ოჯახს ორი ნომერი უკავია. შემოგვეგებნენ გიას მეუღლე ხათუნა, ბავშვები — ალექსანდრე და ნათია. შემოგვესწრო უცნობი ახალგაზრდა კაციც — არგენტინელი ფეხბურთელი მარიო კოპოლა — გაგვაცნო გიამ. მას კი ინგლისურ ენაზე აუხსნა, ვინც ვიყავით. მე ჩვენი სტუმრობის მიზეზზე დავიწყე საუბარი.

— ვიცი, — თქვა გიამ, — წერილი გადმომცეს. მოხარული ვარ, რომ თანამემამულეებს ვხედავ. მერე ბავშვებს შეახსენა, ძილის დროაო და მეზობელ ნომერში გაცილა.

— სამოთახიანი ბინა შემომთავაზეს კატოვიცეს ცენტრში, მაგრამ პატარა აღმოჩნდა. უარი ვთქვით. ახლა ოთხოთახიანს დაგვპირდნენ. ამაზე ალბათ დავთანხმდებით. შემდეგი ჩამოსვლისას საკუთარ ჭერქვეშ მიგიღებთ.

დაწვრილებით გამომკითხა საქართველოს ახალი ამბები. დიდი გულისტკივილი გამოთქვა მიწისძვრით გამოწვეული უბედურების გამო.

— ამას წინათ მარიომ მომიტანა გაზეთი „სპორტი“, რომელშიც დაბეჭდილი იყო „სარბიელის“ პირველი გვერდის რეპროდუქცია და ტექსტი სათაურით „ქართველი სპორტის მოყვარულთა გასახარად“. აი, ნახეთ, — მითხრა გიამ და გაზეთი გამომიწოდა.

მეც გადავეცი „სარბიელის“ სწორედ ის ნომერი, რომლის პირველ გვერდზეც გიაა აღბეჭდილი თამაშის დროს. მასპინძელმა მადლობა გადამიხადა და ყურადღებით დაათვალიერა გაზეთი.

**— გია, როგორ აღმოჩნდით კატოვიცეს გუნდში?**

— 1990 წლის გაზაფხულზე თბილისის „იბერია“ სტუმრად იყო პოლონეთში. რამდენიმე მატჩი გავმართეთ გკს-თან. მაშინ დაინტერესდა გუნდი ჩემით. პრეზიდენტმა მოლაპარაკება დაიწყო „იბერიის“ ხელმძღვანელობასთან. თავიდან უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ საქართველოს ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. საბოლოოდ შეთანხმდნენ და მე ამ გუნდის მაისურა ჩავიცვი. საფასურად „იბერიას“ 140 ათასი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ ამ თანხის სანაცვლოდ საქართველოს რძის ფხვნილს მიაწვდიან.

**— არიან თქვენს გარდა გუნდში უცხოეთიდან მოწვეული ფეხბურთელები?**

— არგენტინელი მარიო კოპოლა, რომელიც თქვენ უკვე გაიცანით.

**— როგორია კატოვიცეს გუნდთან თქვენი კონტრაქტის პირობები?**

— ხელშეკრულება ორწლიანია, თანაც გუნდი უფლებას იტოვებს „გამყიდოს“.

**— როგორი პარალელის გავლება შეიძლება ქართულ და პოლონურ ფეხბურთს შორის?**

— მე ყურადღებით ვადევნებ თვალს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატებს. დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ერთს ვიტყვი: დიდი განსხვავება არ იგრძნობა საზღვარგარეთის ფეხბურთის სასარგებლოდ. ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს შესწევთ უნარი წარმატებით ითამაშონ უცხოეთის ცნობილ კლუბებში. ტექნიკის მიხედვით ჩვენი ბიჭები პოლონელებზე მაღლა დგანან.

**— შესძლებს საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლას?**

— თავიდან, ალბათ, გაუჭირდება. ასეთ წარმატების მისაღწევად საჭიროა დიდი გამოცდილება და კიდევ რაღაც, ირაციონალური. მჯერა, მომავალში ეს „რაღაცაც“ მოვა.

**— რომელი გუნდები მოგწონთ განსაკუთრებით?**

— ჩემი ფავორიტია ჰოლანდიის ნაკრები, თუმცა მსოფლიო პირველობაზე იმედები გამიცრუა. საკლუბო გუნდებიდან განსაკუთრებით პატივს ვცემ „მილანს“.

**— როგორ შეხვდით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას?**

— სულით და გულით ვიზიარებ ჩემი ერის სიხარულს. რეფერენდუმშიც მივიღე მონაწილეობა. ეს წინასწარ გავაკეთე, რადგან პოლონეთში უნდა დავბრუნებულიყავი. ვისარგებლე უფლებით და ჩემი „დიახ“ შევუერთე ქართველთა საერთო გულისთქმას. სიძნელეები შეგვხვდება, მაგრამ უნდა გავუძლოთ და ყველაფერი მოგვარდება.

**— ამჟამად როგორ სპორტულ ფორმაში ხართ?**

— სულ ერთი კვირაა ვვარჯიშობ. ორჯერ გავიკეთე მუხლის ოპერაცია. ახლა თავს, თუმცა, უფრო სწორი იქნება — ფეხს (იცინის) კარგად ვგრძნობ.

**— ქართველ ფეხბურთელებთან მეგობრული ურთიერთობა არ გაგიწყვეტია?**

— ამას წინათ სოსო ჰედიას ველაპარაკე შვეციაში ტელეფონით. ქართულად ლაპარაკმა იმდენად გამიტაცა, დამავიწყდა რა ძვირია ტელეფონით სარგებლობა. 53 წუთი ვილაპარაკეთ. 170 დოლარი დამიჯდა. მაგრამ არ დავღონებულვარ. მთავარია, რომ გული ვიჯერე. კარგია, გამახსენდა!

— მაწვდის წერილსა და ცისარტყელასავით ნაირფერ ბურთს მალხაზ არზიანისა და მისი პატარა ვაჟისთვის გადასაცემად.

— საქართველო ძალიან გვენატრება, — საუბარში ჩაერია ხათუნა — მაგრამ რა გაეწყობა, ვეგუებით აქაურობას.

— აქ ყოფნას ის გვიადვილებს, რომ პოლონელები ძალიან გულღია ხალხია. მეგობრულად გვეპყრობიან, ცდილობენ თავი უცხო გარემოში არ ვიგრძნოთ. პოლონური მესმის, ცოტას ვლაპარაკობ კიდეც — თქვა გიამ.

**— როგორ მიდის თქვენი გუნდის საქმეები?**

— ლიდერთა ჯგუფში ვართ, მესამე ადგილზე. ორი კვირაა ახალი მწვრთნელი მოვიდა. ძველი მეტ ყურადღებას დაცვას უთმობდა, ახალი ფეხბურთელების ტექნიკურ მომზადებასა და შეტევას ანიჭებს უპირატესობას.

**— თუ საიდუმლო არ არის, როგორია თქვენი შემოსავალი?**

— თვეში 500 დოლარს ვიღებ, რასაც მოგებისთვის პრემიაც ემატება.

საათს დავხედე. შუაღამეს ბევრი აღარაფერი უკლდა. გამომშვიდობების დრო იყო.

**— რას უსურვებდით ქართველ ფეხბურთელებს?**

— საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობას. უცხოურ კლუბებში თამაში ყოველმხრივ სასარგებლოა — ფინანსურადაც, ქართული ფეხბურთის ამაღლების თვალსაზრისითაც — მიპასუხა გიამ და მერე უკვე თვითონ მკითხა, თქვენი ხვალინდელი დღის გეგმა როგორიაო. ვუთხარი, რომ კატოვიცესთან ახლოს ქალაქ ხორჟოვში ელვისებურ საჭადრაკო ტურნირში უნდა მიმეღო მონაწილეობა.

— მისამართი დამიტოვეთ, მოგაკითხავთ.

მისამართი მივეცი. მანქანამდე გამოგვაცილა.

მეორე დღეს დაპირებისამებრ ოჯახთან ერთად სატურნირო დარბაზში მოგვაკითხა. გავაცანი ტურნირის მონაწილე ქართველი მოჭადრაკეები: მარიკა ჯაფარიძე, ვარლამ ვეფხვიშვილი, გიზო ჭურღულია. გია ჭადრაკის დიდი მოყვარული აღმოჩნდა. ინტერესით ადევნებდა თვალს პარტიებს, მიზიარებდა აზრს ამა თუ იმ ეპიზოდებზე. შემდეგ დაგვემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხანში, მოულოდნელად, დაბრუნდა. გარეთ გამიხმო და სუვენირებით სავსე ორი პარკი გადმომცა. ქართველებს გაუნაწილეო, მთხოვა, თან ბოდიში მომიხადა, — ვიცი, რომ ეს მცირე საჩუქარია, მეტი იყო საჭიროო.

გიას მადლობა გადავუხადე სუვენირებისათვის და დავუმატე: ცნობილი ფეხბურთელისაგან საჩუქრის მიღება დიდად სასიხარულოა-მეთქი.

გიამ გაიცინა და მიპასუხა: ვეცდები გულშემატკივართა იმედები გავამართლო და ქართული ფეხბურთის მართლაც ღირსეული წარმომადგენელი ვიყო.

იგი მანქანაში ჩაჯდა, სადაც მეუღლე და ორი პატარა ელოდებოდნენ და კიდევ ერთხელ დაგვიქნია ხელი გამომშვიდობების ნიშნად.

**დავით ჯაფარიძე.**
„სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი.
კატოვიცე.

## გულშემატკივრის ცნობარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

როგორც მოგახსენეთ, ერთი ასეთი დაუჯერებელი ცნობა სიგრძეზე ხტომას ეხება, რომელიც, სხვათა შორის, რამდენიმე ავტორის გადმოცემაშია გამეორებული. ამ ცნობის თანახმად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელს 70-ე ოლიმპიადის ჩემპიონს კროტონელ ფაილს სიგრძეზე ხტომაში 55 დელფოს ტერფი დაუძლევია. დღევანდელ მონაცემებზე გადაანგარიშებით 55 დელფოს ტერფი დაახლოებით 16 მეტრსა და 31 სანტიმეტრს უდრის. ე.ი. გამოდის, რომ ფაილი სიგრძეზე 16 მეტრსა და 31 სანტიმეტრზე გადამხტარა. მეორე ცნობაში მითითებულია, რომ ფაილამდე საუკუნენახევრით ადრე სპარტელ ეხიონს სიგრძეზე ხტომაში 16 მეტრი და 66 სანტიმეტრი უჩვენებია.



ეტრუსელი მორბენლები (VI საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე)

გვაქვს თუ არა უფლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ ეს მონაცემები? ანტიკური ავტორებისადმი უდიდესი პატივისა და მოწიწების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაილისა და ეხიონის შედეგები ან მტკნარი სიყალბეა ან, უბრალოდ, გადმოცემაში დაკარგულია ერთი რგოლი და სწორად არ გვესმის ამ შედეგების მნიშვნელობა.

1968 წელს ოლიმპიურ მეხიკოში ამერიკელი ბობ ბიმონი 8 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა და ამ ნახტომს აღტაცებულმა მძლეოსნურმა სამყარომ XXI საუკუნის ნახტომი უწოდა. ასე რომ, ანტიკურ ოლიმპიადებში ნაჩვენებ შედეგს რაღაც სხვა ახსნა უნდა მოვუძებნოთ. სხვათა შორის, არის მოსაზრება და საკმაოდ ლოგიკურიც, რომ ბერძენი ავტორები ამ შემთხვევაში ან სამხტომს გულისხმობდნენ, ან კიდევ სამი ნახტომის შედეგს აჯამებდნენ და ისე ასახელებდნენ გამარჯვებულს.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: მძლეოსნობის მნიშვნელობა ბოლომდე არც ბერძნებს ჰქონდათ გაცნობიერებული და არც მომდევნო პერიოდის ხალხებს. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე მძლეოსნური ვარჯიშები ადამიანს სჭირდებოდა არსებობის შენარჩუნებისთვის, საზოგადოებას კი — თავისი ძლიერების დასაცავად. ასე რომ, მძლეოსნობა (პირვანდელი გაგებით ან, უფრო სწორად, ფიზიკურ ვარჯიშთა მნიშვნელობით) კაცობრიობამ იმთავითვე თავის სამსახურში ჩააყენა და თავის ინტერესებს დაუმორჩილა. სწორედ ამით აიხსნება ანტიკურ ოლიმპიადებში მძლეოსნური ვარჯიშების, როგორც მთავარი დისციპლინის მონაწილეობა.

პირველი ოლიმპიადების პროგრამაში შეტანილი იყო რბენა სტადიონის ერთ სიგრძეზე, ანუ 192,27 მეტრზე (ე.წ. „სტადიოდრომი“). მერე და მერე თამაშების პროგრამა გამდიდრდა და დაიხვეწა: „სტადიოდრომს“ დაემატა „დიაულოსე“ (რბენა სტადიონის ორ სიგრძეზე — ორ „სტადიაზე“), „დოლიხოდრომი“ (რბენა გამძლეობაზე), რომელიც 24 „სტადიას“ მოიცავდა, მარათონი და ა.შ. ეს კი არა, მძლეოსნური შეჯიბრების ნაწილი გახდა „პენტატლონი“ (ხუთჭიდის უძველესი ფორმა), რომელიც რბენასთან, სიგრძეზე ხტომასთან, შუბისა და ბადროს ტყორცნასთან ერთად ჭიდაობასაც მოიცავდა.

რბენა, სიარული და ტყორცნა უძველესი და საოცრად სიცოცხლისუნარიანი სპორტული ვარჯიშებია. შუა საუკუნეებში, როცა ინკვიზიციამ სპორტი ეშმაკის გართობად გამოაცხადა, არსებობის უფლება მხოლოდ ამ ვარჯიშებმა შეინარჩუნა, ისიც იმიტომ, რომ კონკრეტულად ბრალი ვერაფერში დასდეს. შოტლანდიაში, მაგალითად, 1508 წლიდან სისტემატურად ეწყობოდა შეჯიბრება სიარულში, ე.წ. „წითელი ფეხსაცმელები“. გამარჯვებულს ჯილდოდ ლერწმისგან დაწნულ წითელ ფეხსაცმელებს გადასცემდნენ, ანალოგიური კონკურსები (სიტყვა შეჯიბრებას მაშინ აშკარად გაურბოდნენ) იმართებოდა რბენაშიც, სხვადასხვა საგნის მიზანში ან შორ მანძილზე ტყორცნაში.

სპორტის ისტორიკოსთა მტკიცებით, პირველი მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მძლეოსნური რეკორდი დამყარდა 1665 წელს, როცა ლონდონში ნოტინგემელმა სერმა არჩიბალდ გლოვერმა ერთი მილი 5 წუთზე უკეთეს დროში გაირბინა (4 წუთსა და 58 წამში).

1760 წელს ამერიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა 28 წლის პოლკოვნიკმა ჯორჯ ვაშინგტონმა, რომელიც შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, სიგრძეზე ხტომაში 6 მეტრი და 78 სანტიმეტრი დასძლია და ამით ამ სახეობაში რეკორდების რეგისტრაციას ჩაუყარა საფუძველი. ამერიკის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, საერთაშორისო კლასის მძლეოსანი დადგებოდა, ბოლომდე რომ გაჰყოლოდა სპორტს, ვინაიდან თანამედროვეობის პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიგრძეზე ხტომაში, ჯორჯ ვაშინგტონის თანამემამულემ ელერი კლარკმა ათენში გამარჯვება მოიპოვა 6 მეტრისა და 35 სანტიმეტრის გადალახვით, რაც ამავე დროს ოლიმპიური რეკორდი იყო.

მძლეოსნობის დაბადების ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1837 წელი, როცა ინგლისის ქალაქ რაგბის კოლეჯის მოსწავლეებმა მოაწყვეს შეჯიბრება 2 კილომეტრამდე დისტანციაზე რბენაში. ასეთ შეჯიბრებას ხშირად ინგლისის სხვა სასწავლებლების წარმომადგენლებიც ატარებდნენ, 1864 წელს კი გაიმართა მძლეოსნობის ისტორიაში პირველი სამატჩო შეხვედრა კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების გუნდებს შორის. საინტერესოა ისიც, რომ პირველი მძლეოსნური კლუბი სწორედ ინგლისში შეიქმნა (1865 წელი, ლონდონი).

როგორც ხედავთ, მძლეოსნობა საკმაოდ ძველი და, ამავე დროს, თანამედროვე სპორტია თავისი სპეციფიკითა და ისტორიით. ალბათ ამით აიხსნება, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება მძლეოსნებმა წარმოუდგენლად გვიან დაიწყეს — 1983 წლიდან. მანამდე მსოფლიო ჩემპიონატებს ოლიმპიური ტურნირები ცვლიდა (1896 წლიდან) და კიდევ — ევროპის ჩემპიონატები (1934 წლიდან) და კონტინენტის თასის გათამაშება (1965 წლიდან).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი




# ვინ დაეპატრონება ვერცხლის სასალათეს?

„გრანდ სლემის“ შემადგენლობაში შემავალი ოთხი ტურნირიდან ყველაზე „ახალგაზრდაა“ საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. მართალია, ამ ქვეყნის პირველი შეჯიბრება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ზუსტად 100 წლის წინ ჩატარდა, მაგრამ თავიდან უცხოელი ჩოგბურთელები პარიზის კორტებზე არ გამოდიოდნენ. ეს 1925 წლიდან მოხერხდა და ტურნირიც, ფაქტობრივად, ხელახლა დაიბადა. სამი წლის შემდეგ კი ჩემპიონატმა ახალ მისამართზე, „როლან-გაროსის“ მიწის კორტებზე გადაინაცვლა. ამ სტადიონის შექმნის ისტორია ასეთია: 1927 წელს აშშ-ის ქალაქ ფილადელფიაში საფრანგეთის ნაკრებმა დევისის თასის გათამაშების ფინალში მასპინძელთა გუნდი დაამარცხა და პირველად დაეპატრონა სანუკვარ ვერცხლის სასალათეს. მაშინ არსებული წესის თანახმად, გამარჯვებულს მომდევნო წელს თავის მოედანზე უნდა დაეცვა ჩემპიონის წოდება. პარიზში ასეთი რანგის მატჩისათვის შესაფერი მოედანი არსად იყო, თუმცა გამოსავალს მალე მიაგნეს: მთავრობამ ბულონის ტყის პირას გამოჰყო სამი ჰექტარი მიწის ფართობი, რომელზეც ჩოგბურთის ახალი სტადიონი ააგეს. კორტებს საფრანგეთის ეროვნული გმირის, ზუსტად ათი წლის წინ ომში დაღუპული მფრინავის როლან გაროსის სახელი ეწოდა. პილოტის სიახლოვე ჩოგბურთთან პირობითი იყო, რადგან იგი მორაგბედ უფრო იყო ცნობილი, ვიდრე ჩოგბურთელად.

იმხანად ფრანგი ჩოგბურთელი ვაჟები საერთაშორისო ასპარეზზე დიდ წარმატებებს აღწევდნენ და, ბუნებრივია, მშობლიურ კორტებზეც არავის უთმობდნენ პირველობას. პირველ 6 გათამაშებაში მონაცვლეობით იმარჯვებდნენ სახელგანთქმული „მუშკეტერები“ რენე ლაკოსტი და ანრი კოშე. სწორედ ლაკოსტს ამერიკელ უილიამ ტილდენთან ერთად ეკუთვნის მარათონული რეკორდი — 1927 წელს მათ ფინალურ ორთაბრძოლაში 61 გეიმი გათამაშდა.

საერთოდ კი „როლან გაროსის“ კორტების ტრიუმფატორია შვედი ბიორნ ბორგი. იგი ექვსჯერ გავიდა ფინალში და ექვსჯერვე გამარჯვება მოიპოვა (მათ შორის, ოთხჯერ ზედიზედ). აღსანიშნავია, რომ ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ვერცხლის 10-კილოგრამიანი თასით აჯილდოებენ.

ქალთა შორის კონკურენციის გარეშეა ამერიკელი კრის ევერტი, რომელიც შვიდჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. სულ კი, წყვილთა ასპარეზობის ჩათვლით, პირველობა ყველაზე მეტჯერ (13-ჯერ) მოიპოვა ავსტრალიელმა მარგარეტ სმიტ-კორტმა. მან ხუთჯერ იმარჯვა ერთეულთა თანრიგში, ხოლო რვაჯერ წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო.

პარიზის კორტებზე არაერთხელ უასპარეზია ჩვენს სახელოვან ჩოგბურთელს ალექსანდრე მეტრეველს. საუკეთესო შედეგი მას 1972 წელს ჰქონდა, როდესაც შესძლო ნახევარფინალამდე მიღწევა.

და კიდევ ერთი: შარშანდელი ჩემპიონატი ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე სენსაციური, უძლიერესთათვის ყველაზე უიღბლო — უკვე პირველივე წრეში განიცადეს მარცხი პირველ და მეორე ნომრებად განთესილმა ფავორიტებმა — შვედმა სტეფან ედბერგმა და გერმანელმა ბორის ბეკერმა.

მაშ ასე, ორშაბათს 62-ედ აიღებს სტარტს საფრანგეთის ღია პირველობა, რომელიც ამასთან მიწის კორტებზე არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება.

გია ახალაძე

## ბრძოლაში დაღუპული



როლან გაროსი

როლან გაროსი დაიბადა 1888 წლის 6 ოქტომბერს კუნძულ რეიუნიონზე. ბავშვობა საიგონში გაატარა, სადაც მისი გადია ინდონეზიელი ქალი იყო. შემდეგ საფრანგეთი — პარიზი, ნიცა, სადაც იგი მძიმედ დაავადდა ქრონიკული ბრონქიტით.

16 წლისა დაბრუნდა პარიზში, სადაც სწავლობს კოლეჯში, შემდეგ სამართლის ფაკულტეტზე და, ამავე დროს, სპორტის სიყვარულს იგი მიჰყავს საფრანგეთის სპორტულ კლუბში, სადაც ის გატაცებით თამაშობს რაგბის, კროკეტს, ინტერესდება ველოსპორტით, სწავლობს ჩოგბურთს. მაგრამ ცოტა ხანში მას იტაცებს ავიაცია, რომელიც მისთვის მთავარ საქმედ იქცა და მისი ცხოვრება კარდინალურად შეცვალა. ის თავს ანებებს იურიდიულ საქმიანობას.

1913 წელს როლან გაროსმა პირველმა ისტორიაში შეძლო ხმელთაშუა ზღვის გადაფრენა თვითმფრინავით. 1914 წელს მიდის ომში. თანამებრძოლებმა მას თავდადებისა და მაღალი ოსტატობისთვის „მიმინო“ შეარქვეს.

1915 წელს მოწინააღმდეგის არტილერიამ მისი თვითმფრინავი ჩამოაგდო და როლან გაროსი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ სულ მალე მოახერხა გაქცევა. ისევ დაუბრუნდა თვითმფრინავის შტურვალს.

1918 წლის 5 ოქტომბერს ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლა მისთვის უკანასკნელი გამოდგა მეორე დღეს მას შეუსრულდებოდა 30 წელი. სამი კვირის შემდეგ ომი დამთავრდა...

# პარიზში, ქალთა მეჯლისზე...

## ტურნირის ფავორიტები კრის ევერტის თვალით



კრის ევერტი

ეს უდავოდ საინტერესოა და სწორედ ამიტომ გთავაზობთ ჟურნალ „Tennis-“ში გამოქვეყნებული მასალის შემოკლებულ თარგმანს. აი რას ფიქრობს ევერტი თავის ახალგაზრდა კოლეგებზე, თბილისელი ლელა მესხის პოტენციურ მეტოქეებზე.

### შტეფი გრაფი

შტეფი ძალიან სახიფათო მეტოქეა. როდესაც იგი მონაწილეობას იღებს მნიშვნელოვან, მაღალი რანგის ტურნირში, შტეფი ფსიქოლოგიურად ემზადება. მას უჩნდება მწველი სურვილი და მტკიცე რწმენა იმისა, რომ კორტზე მისი ყოველი გასვლა აუცილებლად გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ამით იგი მოუხელთებელი ხდება მოწინააღმდეგისათვის და საბოლოოდ ამარცხებს მას.

### მარტინა ნავრატილოვა

დახურულ კორტებზე მარტინა შეუდარებელი მოთამაშეა. ასეთ კორტზე იგი უფრო მობილურია, ვიდრე რბილბალახიან კორტზე. ის სიმშვიდეს ინარჩუნებს, როცა ბურთი ბადეს ხვდება. მისი სტრატეგიაა: არ დარჩეს მთავარ ხაზზე და მეტი იმოძრაოს გვერდით ხაზებზე. მის თამაშში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ ჩაწოდებას და თამაშის სწრაფ ტემპს.

როცა მარტინა თამაშობს ბადესთან იგი თავს თავის სამფლობელოში გრძნობს. მარტინას უდიდესი უპირატესობა მის გამოცდილებაშია. მან თავისი ხუთი თითივით იცის მოედანი.

### მონიკა სელეში

შტეფისა და მარტინას ჩაწოდებისას მონიკა ხშირად მარცხდება. იგი მათსავით სწრაფი არ არის და ამიტომ არ უყვარს ბადესთან თამაში. მეორე მხრივ კი როცა ბურთის ჩაწოდება ან მოგერიება მისთვის ხელსაყრელია, იგი ამ შანსს ხელიდან არ უშვებს. იმისათვის, რომ მოუგო მონიკას, საჭიროა აიძულო იგი იმოძრაოს კორტის მთელ სიგრძეზე და შეძლებისდაგვარად გაზარდო თამაშის ტემპი. მონიკასთვის ძნელია მთელი მატჩის განმავლობაში შეინარჩუნოს უპირატესობა. იგი თავისი ჩაწოდებისას ყოველთვის ვერ ახერხებს ქულის აღებას.

### ჯენიფერ კაპრიატი

ჯენიფერის მიერ მოგერიებული მოწოდებები და მისი საპასუხო მოკლე დარტყმები, რომლებსაც იგი მუდმივად აუმჯობესებს, გადააქცევენ მას მონიკასთან შედარებით უფრო სახიფათო მეტოქედ. მას არასოდეს ეშინია შუაგულ კორტში ჩაწოდებული ბურთისა და ადვილად იგერიებს კიდეც. მას უყვარს მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე გამოსვლა. ის ადვილი შესაშინებელი არ არის. ჯენიფერს უნარი აქვს მოულოდნელად მიაღწიოს დიდ შედეგს.

### გაბრიელა საბატინი

1990 წელი შედეგების მიხედვით არათანაბარი იყო გაბისთვის. იგი მერყევი მოთამაშეა. ის წლის კარგად დაწყებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მის დამთავრებას. გაბი ახერხებს შეჯიბრების განმავლობაში თამაშის გაუმჯობესებას. შეინარჩუნებს თუ არა გაბი თავის ასეთ „ინერციას“? თუ შესძლებს ამას, ჩემპიონატის ყველა მონაწილეს უკან ჩამოიტოვებს.

# ისინი გვანან ერთმანეთს

მსოფლიოს მეორე ჩოგნის ბორის ბეკერის გუნდში კვლავ ცვლილებებია. ავსტრალიელი სპეციალისტი ბობ ბრეტი, რომელიც ბოლო სამი წლის მანძილზე მუშაობდა ბეკერთან, თებერვალში დასცილდა გერმანელ ჩოგბურთელს, რომელმაც მაშინვე განაცხადა, რომ მისი მწვრთნელი იქნება იუგოსლაველი ნიკი პილიჩი. ეს უკანასკნელი გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანია. მისი ხელმძღვანელობით გფრ-ს ნაკრებმა ორჯერ მოიგო დევისის თასი.

ბევრს ეგონა, რომ ბეკერისა და პილიჩის თანამშრომლობა წლების განმავლობაში გაგრძელდებოდა, მით უმეტეს, რომ ისინი საკმაოდ კარგ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. ეს დაადასტურა პილიჩმაც, როდესაც დასთანხმდა ეთანამშრომლა „ვარსკვლავთან“. მაგრამ განვლილმა რამდენიმე თვემ ცხადყო, რომ ბეკერ-პილიჩის დუეტი დიდხანს არ იარსებებდა. უიმბლდონის სამგზის გამარჯვებულმა ხანმოკლე კონტრაქტი დადო მწვრთნელთან. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის შემდეგ იგი ახალი პარტნიორის მოძებნას აპირებს. ბეკერმა განაცხადა, რომ მისი და პილიჩის აზრები კორტზეც და მის გარეთაც არ ემთხვევა ერთმანეთს. პილიჩი ძალზე მკაცრი დისციპლინისა და სპორტული რეჟიმის განუხრელად დაცვის მომხრეა.

ამჟამად მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერის მწვრთნელობის კანდიდატად ასახელებენ 35 წლის ტომაშ შმიდტს, წარსულში ჩეხეთსლოვაკეთის წამყვან მოთამაშეს,



ბორის ბეკერი

ამჟამად კი ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანს დევისის თასის გათამაშებაში.

— ტომაშს კარგი შანსები აქვს ჩემი ადგილის დასაკავებლად. მას და ბორისს ერთნაირი ტემპერამენტი აქვთ. ორივეს უყვარს თავისუფლად ცხოვრება და არაფერზე უარს არ ამბობენ — ამბობს ნიკი პილიჩი.

# ...და „მუხის ფოთოლი“

28 მაისს, ჩოგბურთის კლუბი „მუხის ფოთოლი“ აწყობს ჩოგბურთელ ვაჟთა კომერციულ ტურნირს. კლუბს უკვე ჩატარებული აქვს ვეტერანთა და მოყვარულთა შეჯიბრებები, ამჯერად კი ერთმანეთის პირისპირ მოქმედი სპორტსმენები წარსდგებიან. ტურნირი კლუბის სახსრებით ტარდება. გათამაშდება ფულადი ჯილდოები. საქართველოში ეს პირველი კომერციული ტურნირია, რომელიც ჩოგბურთის კლუბის ეგიდით ტარდება. შეჯიბრება ტრადიციული გახდება და ყოველ წელს ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებს 27 მაისის ჩათვლით შეუძლიათ მიაკითხონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკის პარკი, ჩოგბურთის კლუბი „მუხის ფოთოლი“. ტელეფონი: 29-42-45. იმავე მისამართზე შეუძლიათ მიაკითხონ სპონსორობის მსურველებსაც. ტურნირს გააშუქებს პრესა და ტელევიზია.

დაწესებულია „სარბიელის“ სპეციალური პრიზი ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის.

# საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებულნი

### ვაჟები

1925 — ლაკოსტი (საფრანგეთი)
1926 — კოშე (საფრანგეთი)
1927 — ლაკოსტი (საფრანგეთი)
1928 — კოშე (საფრანგეთი)
1929 — ლაკოსტი (საფრანგეთი)
1930 — კოშე (საფრანგეთი)
1931 — ბოროტრა (საფრანგეთი)
1932 — კოშე (საფრანგეთი)
1933 — კროუფორდი (ავსტრალია)
1934 — ფონ კრამი (გერმანია)
1935 — პერი (ინგლისი)
1936 — ფონ კრამი (გერმანია)
1937 — ჰენკელი (გერმანია)
1938 — ბაჯი (აშშ)
1939 — მაკნეილი (აშშ)
1940-1945 არ გათამაშდა.
1946 — ბერნარი (საფრანგეთი)
1947 — აშბოტი (უნგრეთი)
1948 — პარკერი (აშშ)
1949 — პარკერი (აშშ)
1950 — პეტი (აშშ)
1951 — დრობნი (ჩეხეთსლოვაკეთი)
1952 — დრობნი (ჩეხეთსლოვაკეთი)
1953 — როზუოლი (ავსტრალია)
1954 — ტრაბერტი (აშშ)
1955 — ტრაბერტი (აშშ)
1956 — ხოადი (ავსტრალია)
1957 — დევიდსონი (შვეცია)
1958 — როუზი (ავსტრალია)
1959 — პეტრანჯელი (იტალია)
1960 — პეტრანჯელი (იტალია)
1961 — სანტანა (ესპანეთი)
1962 — ლეივერი (ავსტრალია)
1963 — ემერსონი (ავსტრალია)
1964 — სანტანა (ესპანეთი)
1965 — სტოლი (ავსტრალია)
1966 — როჩი (ავსტრალია)
1967 — ემერსონი (ავსტრალია)
1968 — როზუოლი (ავსტრალია)
1969 — ლეივერი (ავსტრალია)
1970 — კოდეში (ჩეხეთსლოვაკეთი)
1971 — კოდეში (ჩეხეთსლოვაკეთი)
1972 — ხიმენო (ესპანეთი)
1973 — ნასტასე (რუმინეთი)
1974 — ბორგი (შვეცია)
1975 — ბორგი (შვეცია)
1976 — პანატა (იტალია)
1977 — ვილასი (არგენტინა)
1978 — ბორგი (შვეცია)
1979 — ბორგი (შვეცია)
1980 — ბორგი (შვეცია)
1981 — ბორგი (შვეცია)
1982 — ვილანდერი (შვეცია)
1983 — ნოა (საფრანგეთი)
1984 — ლენდლი (ჩეხეთსლოვაკეთი)
1985 — ვილანდერი (შვეცია)
1986 — ლენდლი (ჩეხეთსლოვაკეთი)
1987 — ლენდლი (ჩეხეთსლოვაკეთი)
1988 — ვილანდერი (შვეცია)
1989 — ჩანგი (აშშ)
1990 — გომესი (ეკვადორი)

### ქალები

1925 — ლენგლენი (საფრანგეთი)
1926 — ლენგლენი (საფრანგეთი)
1927 — ბოუმანი (ჰოლანდია)
1928 — მუდი (აშშ)
1929 — მუდი (აშშ)
1930 — მუდი (აშშ)
1931 — აუსემი (გერმანია)
1932 — მუდი (აშშ)
1933 — სკრივენი (ინგლისი)
1934 — სკრივენი (ინგლისი)
1935 — შპერლინგი (გერმანია)
1936 — შპერლინგი (გერმანია)
1937 — შპერლინგი (გერმანია)
1938 — მატიო (საფრანგეთი)
1939 — მატიო (საფრანგეთი)
1940-1945 არ გათამაშდა.
1946 — ოსბორნი (აშშ)
1947 — ტოდი (აშშ)
1948 — ლენდრი (საფრანგეთი)
1949 — ოსბორნ-დიუპონი (აშშ)
1950 — პარტი (აშშ)
1951 — ფრაი (აშშ)
1952 — პარტი (აშშ)
1953 — კონოლი (აშშ)
1954 — კონოლი (აშშ)
1955 — მორტიმერი (ინგლისი)
1956 — გიბსონი (აშშ)
1957 — ბლუმერი (ინგლისი)
1958 — კორმეცი (უნგრეთი)
1959 — ტრუმენი (ინგლისი)
1960 — პარდი (აშშ)
1961 — ჰეიდონ-ჯონსი (ინგლისი)
1962 — სმიტი (ავსტრალია)
1963 — ტერნერი (ავსტრალია)
1964 — სმიტი (ავსტრალია)
1965 — ტერნერი (ავსტრალია)
1966 — ჰეიდონ-ჯონსი (ინგლისი)
1967 — დური (საფრანგეთი)
1968 — რიჩი (აშშ)
1969 — სმიტ-კორტი (ავსტრალია)
1970 — სმიტ-კორტი (ავსტრალია)
1971 — გულაგონგი (ავსტრალია)
1972 — კინგი (აშშ)
1973 — სმიტ-კორტი (ავსტრალია)
1974 — ევერტი (აშშ)
1975 — ევერტი (აშშ)
1976 — ბარკერი (ინგლისი)
1977 — იაშოვეცი (იუგოსლავია)
1978 — რუჟიჩი (რუმინეთი)
1979 — ევერტ-ლოიდი (აშშ)
1980 — ევერტ-ლოიდი (აშშ)
1981 — მანდლიკოვა (ჩეხეთსლოვაკეთი)
1982 — ნავრატილოვა (აშშ)
1983 — ევერტ-ლოიდი (აშშ)
1984 — ნავრატილოვა (აშშ)
1985 — ევერტ-ლოიდი (აშშ)
1986 — ევერტ-ლოიდი (აშშ)
1987 — გრაფი (გფრ)
1988 — გრაფი (გფრ)
1989 — სანჩესი (ესპანეთი)
1990 — სელეში (იუგოსლავია)

# ბალი, სადაც ვარსკვლავებს ზრდიან

1991 FINAL FOUR NCAA INDIANAPOLIS

ამერიკის შეერთებულ შტატებში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია სოკ-ის გადაწყვეტილებამ, რომლის ძალითაც პროფესიონალ კალათბურთელებს ოლიმპიურ ტურნირებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. ბევრმა გაიხარა: აი, ახლა კი მოგვეცემა საშუალება, ყველას ვაჩვენოთ ამერიკული კალათბურთის ნამდვილი ძალა, გავანადგუროთ „სოვიეტები" და „იუგები", მსოფლიო სარბიელზე ჰეგემონია დავიბრუნოთო. სპეციალისტთა და გულშემატკივართა მეორე ნაწილი, მართალია, კმაყოფილია იმით, რომ ნბა-ს საუკეთესო წარმომადგენლები ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამოვლენ, მაგრამ მაინც ერთგვარ შეშფოთებას გამოთქვამს მთელი ამერიკული კალათბურთის, კერძოდ კი სტუდენტური კალათბურთის შემდგომი ბედის გამო. ხომ არ დაკარგავს სტიმულს ახალგაზრდობა, რომელსაც ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში თამაშის საშუალება მოესპობა? ხომ არ შესუსტდება ინტერესი მოყვარულებისადმი, მრავალი ათეული წლის მანძილზე რომ ასაზრდოებენ „უმაღლეს საზოგადოებას"? სანატრელი ხომ არ გაუხდება სტუდენტურ კალათბურთს ვარსკვლავები, საქვეყნოდ რომ გაუთქვეს სახელი ნბა-ს?

გავა რამდენიმე წელი და ყველა მიეჩვევა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების სახელით პროფესიონალები გამოდიან. მაგრამ იმას, ვისაც ახსოვს სტუდენტური ნაკრები გუნდები, ვისაც სარბიელზე უნახავს ბილ რასელი (1956), ოსკარ რობერტსონი და ჯერი ლუკასი (1960), ბილი ბრედლი (1964), სპენსერ ჰეივუდი (1968), ბობი ჯონსი (1972), უოლტერ დევისი (1976), აიზი ტომასი (1980), მაიკლ ჯორდანი (1984), დევიდ რობერტსონი (1988) და სტუდენტური კალათბურთის სხვა ვარსკვლავები, არ შეიძლება გული არ დასწყდეს იმის გამო, რომ სტუდენტები პროფესიონალებმა შეცვალეს. მართალია, ჯერ ეს მხოლოდ ვარაუდია და არავინ იცის, რა მოხდება. აშშ-ის სტუდენტთა ბოლო ჩემპიონატმა, რომელიც მარტის დამლევს დამთავრდა, მგონი ეჭვები გაუფანტა პესიმისტებს. ეს იყო სტუდენტური კალათბურთის ფანტასტიკური დღეები. არა, სტუდენტურ კალათბურთს სიკვდილი არ უწერია.

თუმცა, ვიდრე ამ შეჯიბრების მსვლელობას აღვწერდე, რომელსაც მთელი ამერიკა დაძაბული ადევნებდა თვალს, ჯერ მის ზოგიერთ თავისებურებაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. „საკალათბურთო ამერიკა" ორ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთად და დასავლეთად მდინარე მისისიპიზე. მისისიპიდან ატლანტის ოკეანემდე მთელი ტერიტორია აღმოსავლეთია, წყნარ ოკეანემდე — დასავლეთი. მაგალითად, ქალაქი სენტ-პოლი კალათბურთის რუკაზე აღმოსავლეთშია, მინეაპოლისი კი — დასავლეთში. დახედეთ აშშ-ის გეოგრაფიულ რუკას და ადვილად დარწმუნდებით, რომ „საკალათბურთო დასავლეთი" ფართობით თითქმის ორჯერ აღემატება აღმოსავლეთს. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ ორი „ნახევრის" უსასტიკეს დუელში საუკეთესო სტუდენტი კალათბურთელები მუდამ აღმოსავლეთში იყო თავმოყრილი. მაგალითად, 1976 წლიდან აღმოსავლეთის გუნდებმა სტუდენტურ ჩემპიონატებში გაიმარჯვეს ცამეტჯერ, დასავლეთის წარმომადგენლებმა — მხოლოდ ორჯერ: 1988 წელს — კანზასის, 1990 წელს — ლას-ვეგასის (ნევადა) უნივერსიტეტებმა. 1976 წლიდან დღემდე „დიდი ოთხეულის" შემადგენლობაში აღმოსავლეთიდან იყო 50, დასავლეთიდან კი მხოლოდ 14 გუნდი. ხუთ ჩემპიონატში (1979, 1981, 1985, 1986, 1989) „დიდ ოთხეულს" მხოლოდ აღმოსავლეთის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ასე რომ, ბოლო ჩემპიონატი ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს — ინდიანაპოლისში თამაშობდა დასავლეთის ორი (ნევადა და კანზასი) და აღმოსავლეთის ორი (ჩრდილოეთი კაროლინა და დიუკი) გუნდი.

აღმოსავლეთის ამგვარი უპირატესობა იმით აიხსნება, რომ საუკეთესო კალათბურთელები „შავი ბიჭები" არიან, „შავებში" კი ისინი, ვინც კალათბურთის სკოლა ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს, დეტროიტისა და ვაშინგტონის, ფილადელფიისა და ატლანტის ეზოებში გაიარა. კალათბურთის ტრადიციებით გამოირჩევიან ინდიანის, ჩრდილოეთ კაროლინისა და კენტუკის შტატები. სხვათა შორის, კალათბურთელი, რომელიც აღმოსავლეთში ამთავრებს სკოლას, იშვიათად თუ შევა „დასავლეთის" უნივერსიტეტში. უფრო პირიქით ხდება.

სტუდენტურ კალათბურთში გუნდები ჯგუფებად არიან დაყოფილი. უძლიერესებად ითვლებიან ჯგუფები „ბიგ ისტი", „ატლანტიკ-კოუსტი" და „ბიგ-10".

პირველ ორში გაერთიანებული არიან მხოლოდ აღმოსავლეთის უნივერსიტეტები, მესამეშიც ისინი სჭარბობენ მეზობელი დასავლეთის წარმომადგენლებს. ექსპერტთა აზრით, ძალზე საეჭვოა, რომ უახლოეს წლებში ძალთა შეფარდებაში რაიმე ცვლილებები მოხდეს. ამისათვის საჭიროა, რომ ნიუ-იორკის, დეტროიტის, ჩიკაგოს და აღმოსავლეთის სხვა. სკოლების კურსდამთავრებულები სწავლის გასაგრძელებლად მისისიპიდან დასავლეთით გაემგზავრონ. მაგრამ ისინი ამას არ შვრებიან, რადგან მისისიპიდან აღმოსავლეთით უნივერსიტეტებს კალათბურთში უფრო მდიდარი ტრადიციები აქვთ და ამ გუნდების მწვრთნელთა სახელები იზიდავს ახალგაზრდობას. მრავალი წლის წინ, უფრო ზუსტად — 1965 წელს, ნიუიორკელი მოსწავლე ლიუ ალსინდორი, იგივე ლეგენდარული ქარიმ აბდულ-ჯაბარი, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა კალიფორნიის უნივერსიტეტში. მაგრამ დღევანდელ „ალსინდორებს" ამგვარი შეცდომა არ მოუვათ.

ერთი სიტყვით, წლევანდელი „დიდი ოთხეულის" შემადგენლობა დიდ მოულოდნელობად ჩაითვალა: ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ დასკვნით ეტაპზე ბრძოლას აღმოსავლეთისა (ჩრდილოეთი კაროლინა და დიუკი) და დასავლეთის (ნევადა და კანზასი) ორ-ორი გუნდი გააგრძელებდა. განსაკუთრებული სენსაცია იყო ნახევარფინალში კანზასის გუნდის გასვლა. კანზასელმა სტუდენტებმა ყველა გააოცეს მერვედფინალსა და მეოთხედფინალში მოპოვებული გამარჯვებებით. თანაც, ვიდრე რვა პრეტენდენტს შორის მოხვდებოდნენ, მათ დაამარცხეს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი — ინდიანის უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც სახელგანთქმული მწვრთნელი ბობი ნაიტი ედგა სათავეში. ნაიტის ხელმძღვანელობით 1976 წელს ინდიანამ აშშ-ის ჩემპიონატში გაიმარჯვა ისე, რომ მთელ გათამაშებაში არც ერთი მატჩი არ წაუგია. მას შემდეგ ასეთი წარმატება აღარავის მოუპოვებია. წლევანდელ გათამაშებაში კანზასის გუნდთან დამარცხებამდე ნაიტის შეგირდები მშვენივრად თამაშობდნენ. ამასთან, ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ინდიანაპოლისში იყო დაგეგმილი და გასაკვირი არ არის, რომ ექსპერტთა უმრავლესობა მოედნის მასპინძლებს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. „დიდ ოთხეულში" მოულოდნელად მოხვდა კანზასი, რომლის გუნდმაც ჯერ ინდიანელი სტუდენტები დაამარცხა ანგარიშით 83:65, მერე კი არკანზასელებსაც მოუგო — 93:81.



ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად მიიჩნიეს ინდიანის უნივერსიტეტის დამარცხება. მწვრთნელი ბობი ნაიტი და მოთამაშე დეიმონ ბელი ვერ მალავენ სინანულს.

რაც შეეხება ნახევარფინალების სამ დანარჩენ მონაწილეს, ისინი აზრთა დიდ სხვადასხვაობას არ იწვევდნენ. ლას-ვეგასის გუნდს — შარშანდელ ჩემპიონს — ინდიანელთა რეკორდის დამხობა სურდა. მწვრთნელ ჯერი ტარკანიანის შეგირდებს ნახევარფინალამდე არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. ამ ეტაპზე მათ ელოდათ შეხვედრა დიუკის გუნდთან, რომელიც შარშან ფინალში გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს — 103:73. ანგარიშში ასეთი სხვაობა არ ახსოვს სტუდენტურ პირველობათა ფინალური ბრძოლების ისტორიას. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ჩრდილოეთ კაროლინისა და კანზასის გუნდები უნდა შეხვედროდნენ.

ფინალის საგზურებისთვის მატჩები ტრადიციისამებრ შაბათს — 30 მარტს ჩატარდა. ფინალი ორშაბათისათვის — 1 აპრილისათვის იყო დანიშნული.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის" კორესპონდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.



# სერგეი ფიოდოროვი: საკუთარ თავზე, ჰოკეიზე და ამერიკაზე

1990 წლის ივლისში მოხდა შემთხვევა, რომელმაც მთელი სპორტული ამერიკა აალაპარაკა: სიეტლში კეთილი ნების თამაშების დაწყებამდე საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები დატოვა ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ოცი წლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა სერგეი ფიოდოროვმა. ამ დროისათვის სერგეი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იყო (როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი) და საკავშირო პირველობათა სამი ოქროს მედლის მოპოვებაც მოესწრო (ცსკა-ს შემადგენლობაში). საბჭოთა ჰოკეიში მან ყველაფერს მიაღწია, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო და მსოფლიოს საუკეთესო ლიგისკენ გაუწია გულმა.
„დეტროიტ რედ უინგსმა" სერგეი ფიოდოროვი ჰოკეის ტრადიციულ აუქციონზე აირჩია 74-ე ნომრით. სწორედ ამ გუნდთან დადო მან კონტრაქტი ხუთი წლით და წელიწადში 250 ათასამდე დოლარს მიიღებს. სერგეის პოლიტიკური თავშესაფარი არ უთხოვია და ემიგრაციულ ხელისუფლებას მიმართა, რათა მისთვის სამუშაო ვიზა მიეცათ. თხოვნა დააკმაყოფილეს და ფიოდოროვმა დეტროიტის გუნდში დაიწყო თამაში.
გუნდი „დეტროიტ რედ უინგსი" მეტად ძლიერ ქვეჯგუფში („ნორისი") გამოდის. ამ სეზონში ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ მან კვლავ მოიპოვა სტენლის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება. ამ წარმატებაში მცირე წვლილი არ მიუძღვის ცენტრალურ თავდამსხმელს, 91-ე ნომრით მოთამაშე სერგეი ფიოდოროვს. მან 77 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 79 ქულა (31+48) დააგროვა და ლიგის ყველაზე შედეგიანი დებიუტანტი გახდა.
ამერიკულ გაზეთში „Новое Русское Слово" დაიბეჭდა ჟურნალისტ **მიხაილ ვაპნეს** ინტერვიუ ფიოდოროვთან. ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს ვთავაზობთ „სარბიელის" მკითხველებს.

**— ბევრს აინტერესებს, რატომ გამოდიხარ 91 ნომრით?**

— არ ვიცი, მომწონს ეს ნომერი. ეს არის და ეს.

**— მიმდინარე სეზონში პირველად ითამაშე ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონატში. რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ასპარეზობამ?**

— საერთოდ, ძალიან მძიმე სეზონი იყო. მოხარული ვარ, რომ ეროვნულ ლიგაში ვთამაშობ.

**— ეროვნულ ლიგაში თამაში უფრო ძნელია თუ უფრო ადვილი, ვიდრე საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებში?**

— ცხადია, თამაში აქ უფრო ძნელია.

**— ეროვნულ ლიგაში შენს პირველ სეზონს ამავე ლიგაში მსოფლიო ჰოკეის ვარსკვლავების — გრეცკის, ლემიეს და აიზერმანის დებიუტს ადარებენ.**

— ასეთ ვარსკვლავებს თავს როგორ შევადარებ, მათ ოსტატობამდე მე ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი. ჩემი აზრით, ამ სეზონში ვითამაშე, როგორც შემეძლო, შევძელი მეჩვენებინა, რისი გამკეთებელი ვარ უცხო გარემოში — უფრო რთულ, მაგრამ საინტერესო და უჩვეულო პირობებში. ერთი სიტყვით, მეჩვენებინა, რომ აქ ტყუილად არ ჩამოვსულვარ.

**— რას გვეტყვი შენს ახალ გუნდზე — „დეტროიტ რედ უინგსზე"?**

— კარგი გუნდია, მეგობრული. ნამდვილი მებრძოლები არიან. ყველასთან ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მე მომწონს ეს გუნდი.

**— საერთოდ ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირში უმთავრესად გუნდურ თამაშს მისდევენ, აქ კი — უფრო ინდივიდუალურს. მართლა ასეა?**

— ალბათ ასეა. ჩრდილოეთ ამერიკაში პატარა მოედნები აქვთ და პერსონალური მეურვეობაც უფრო უხეშია. ასე რომ, მოთამაშემ აქ უფრო ინდივიდუალურად უნდა გამოავლინოს თავისი ძალა და უნარი, ვიდრე საბჭოთა ჰოკეიში, მით უმეტეს, რომ კომბინაციური თამაში აქ იშვიათია.

**— ისურვებდი მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით თამაშს?**

— ამისთვის ჩემი სურვილი არ კმარა. საჭიროა მეორე მხარემ მოინდომოს.

**— გაზეთ „სოვეტსკი სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ ტიხონოვმა შენზე თქვა, კეთილი ნების თამაშებზე ბოლომდე რომ დარჩენილიყო და ტურნირი არ მიეტოვებინა, მაშინ შეიძლებოდა რაღაც გვეფიქრაო. მისი თქმით, დღეს, როცა ლეგალური გზებიც არსებობს, არსად გაქცევა აღარ არის საჭირო... ახლა რა მორალური უფლება მაქვს, ასეთი მოთამაშე ნაკრებში მოვიწვიოო...**

— არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ თუნდაც ტურნირის შემდეგ დავრჩენილიყავი ამერიკაში, ამით არაფერი შეიცვლებოდა. ვიქტორ ტიხონოვმა მშვენივრად იცის, რომ ყველა მატჩს და ყველა ტურნირს სერიოზულად ვეკიდები. ასე რომ, ეგ ვერაფერი საბუთია მისი პოზიციის გასამართლებლად. რაც შეეხება ლეგალურ გზებს, შეიძლება მართლაც არსებობს, მაგრამ მე არ ვიცი, ვისთვის არსებობს და ვისთვის არა. საბჭოთა კავშირიდან წამოსვლა ძალიან ძნელია.

**— ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ტიხონოვი წერდა, საბჭოთა კავშირში ფიოდოროვი ნამდვილ ოსტატად გაიზრდებოდა, აქ კი ამას ვერ შეძლებსო.**

— მე ვერ დავეთანხმები მის აზრს. საბჭოთა კავშირში შეიძლება მართლაც მიმეღწია რაღაც დონისათვის, მაგრამ ისე მაინც ვერ გავიზრდებოდი, როგორც აქ, ამ ლიგაში. აქ საშუალებას მაძლევენ ვითამაშო ბევრი და სხვადასხვა პოზიციაზე — თუ კარგად თამაშობ და გუნდს სჭირდები, მწვრთნელს ესმის შენი. აქ, ბევრად უფრო სწრაფად იზრდები, ვიდრე იქ, საბჭოთა კავშირში.

**— ვინ მიგაჩნია შენს მწვრთნელად?**

— ჩემი მთავარი და უპირველესი მწვრთნელი მამაჩემია. მეორე მწვრთნელი — გენადი ბანდურინი, და, რაღა თქმა უნდა, ტიხონოვი, რომელსაც მე დიდ მწვრთნელად ვთვლი, მაგრამ არა პედაგოგად.

**— ტიხონოვი, როგორც მწვრთნელი, დაგეხმარა მოთამაშედ ჩამოყალიბებაში?**

— ჩემი აზრით, მოთამაშედ მე ჯერ კიდევ არა ვარ ჩამოყალიბებული. ტიხონოვთან უდავოდ დიდი სკოლა გავიარე და, რაღა თქმა უნდა, ძალიან დამეხმარა. თხუთმეტი წლისა მინსკიდან ცსკა-ში რომ მიმიწვიეს და პირველ საწვრთნელ შეკრებაზე მოვხვდი, ძალოსნობის დარბაზში შტანგას იატაკიდან ვერ ვწევდი. ვერ ვიტყვი, რომ ცსკა-ში დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. თავიდან ძალიან გამიჭირდა. მოედანზე პირველი ორი სეზონი ყველა მეხმარებოდა, მაგრამ ცხოვრებაში მე თვითონ მივხედე ჩემს თავს.

**— რას იტყვი შენს ახალ მწვრთნელზე — ბრაიან მორიზე?**

— ძალიან კარგად მეპყრობა, ესმის ჩემი თამაში და უმთავრესად მეორე მცველად გამოვყავარ. სხვათა შორის, ამ ადგილზე თამაში ძალიან ძნელია. მორი ცდილობს რაც შეიძლება უკეთესი პირობები შემიქმნას სპორტული დაოსტატებისთვის.

**— ეროვნულ ლიგაში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სხვა ჰოკეისტებიც თამაშობენ. რა შეგიძლია თქვა მათზე?**

— რამდენადაც ვიცი, ეროვნულ ლიგაში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული მხოლოდ სამი ახალგაზრდა ჰოკეისტი გამოდის. სხვები უფრო გვიან ჩამოვიდნენ, უკვე მოწიფულ ასაკში, ასე ვთქვათ, სპორტული კარიერის მიწურულს. მათ, ცხადია, უჭირთ ამ ლიგაში თამაში, რადგან სეზონში ძალიან ბევრი მატჩი ტარდება. საერთოდ კი, ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ჰოკეისტები კარგად, ღირსეულად გამოდიან.

**— დეტროიტში ცსკა-ს გამოსვლის დროს შენს ყოფილ თანაგუნდელებს ხვდებოდი. როგორ ჩაიარა ამ შეხვედრამ?**

— მოხარული ვიყავი, რომ ჩემს მეორე სამშობლოში ვხედავდი მათ. მინდოდა ყველაფერზე გველაპარაკა, მაგრამ ეს მაინც არ გამოვიდა. თავს ნორმალურად ვგრძნობდი, როგორც ძველ მეგობრებთან შეხვედრისას.

**— „რედ უინგსისა" და ცსკა-ს მატჩი რით განსხვავდებოდა ეროვნული ლიგის სხვა შეხვედრებისაგან?**

— ცსკა-ს თამაში ძალზე ტექნიკური და კომბინაციური იყო, ჩვენი ბიჭები კი ამ შეხვედრას მნიშვნელოვნად არ თვლიდნენ და მისთვის სერიოზულად არც მომზადებულან.

**— ინგლისურში როგორ გაქვს საქმე?**

— სკოლაში ჯერჯერობით არ დავდივარ, დრო არა მაქვს. ამ ზაფხულს აუცილებლად შევალ ინგლისური ენის კურსებზე. ისე, სხვები რომ ლაპარაკობენ, მესმის, მე თვითონ კი მიჭირს აზრის გამოთქმა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ენის მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება.

**— მშობლებთან გაქვს ურთიერთობა?**

— ძირითადად ტელეფონით.

**— ადევნებ თვალყურს მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?**

— ნაკლებად. საქმე ისაა, რომ ყოველთვის არა მაქვს საშუალება რუსულენოვანი პრესა ვიკითხო.

**— რა შთაბეჭდილებას ტოვებს შენზე ამერიკა?**

— მე აქ ყოველმხრივ თავისუფალი ვარ. აქ არ იგრძნობა ისეთი ფსიქოლოგიური მარწუხები, როგორც კავშირში: მეტი სილაღეა, შებოჭილი არა ხარ. თამაშისთვის მზადებისას თავს აქ უკეთ გრძნობ. პირადი ცხოვრებისთვისაც მეტი დრო მრჩება. მე ასე ვფიქრობ, თუ გინდა ჰოკეიში რამეს მიაღწიო, თუ ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდებ ხელს, შენს სპორტულ ფორმაზე შენვე უნდა იზრუნო. ჩემი აზრით, ამერიკა ძალზე პროგრესული ქვეყანაა ინდივიდუალობის ზრდისათვის.

## ტექნიკური შედეგები

### მძლეოსნობა

საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვას რესპუბლიკების მატჩი. 18-19 მაისი. თბილისი. ქალები (ვთავაზობთ მხოლოდ გამარჯვებულთა ვინაობას). 100 და 200 მეტრი. თამარ შანიძე — 11,71 და 23,90. 400 მ. მაია ხიდაშელი (ორივე — საქართველო) — 55,14 800 მ. ირინა დიკოვა (აზერბაიჯანი) — 2.14,74. 1500 მ. ეკა თევზაძე — 4.49,86. 3000 მ. ეკა კობალაძე (ორივე საქართველო) — 11.31,38. 100 მ. თარჯრბენი. ელადა კოლესნიკოვა (აზერბაიჯანი) — 14,28. 400 მ თარჯრბენი. ხიდაშელი — 1.02,0. 4X100 მ. საქართველო — 49,08. სიმაღლე. ოლგა ბოლშოვა (მოლდოვა) — 189 სმ. სიგრძე. ეკატერინე ბოჰორიშვილი — 4,98მ. ბადრო. ნინო ონაშვილი — 56,86 მ. ბირთვი. ელვირა ურუსოვა (ყველა — საქართველო) — 17,63 მ. შუბი. ლარისა პეტროვა (აზერბაიჯანი) — 43,18 მ. ვაჟები. 100 მ. ალექსეი შერბაკოვი — 10,73. 200 მ. რომან ბუნიატ-ზადე — 21,60. 400 მ. რუსლან ორუჯევი (ყველა — აზერბაიჯანი) — 49,52. 800 მ. ოლეგ ხოხლოვი (საქართველო) — 1.51,72. 1500 მ. ევგენი ანდრონიკი (მოლდოვა) — 3.54,82. 5000 მ. სერგეი არტამონოვი — 15.32,38. 110 მ თარჯრბენი. ევგენი გორგაძე (ორივე — საქართველო) — 14,46.400 მ თარჯრბენი. ალექსეი ბონდარენკო (მოლდოვა) — 52,74. 3000 მ წინაღობებით. ჰამლეტ მამიკონიანი (საქართველო) — 8.57,1. 4X100 მ. აზერბაიჯანი — 40,77. სიგრძე. ალექსანდრ როდიონოვი — 7,40 მ. სიმაღლე. გერმან გამოვი — 2,15 მ. ჰოკი. დმიტრი კურკულინი (ყველა — მოლდოვა) — 5,50 მ. სამხტომი. ალექსეი ფატიანოვი (აზერბაიჯანი) — 15,94 მ. ბადრო. სერგეი დევიატკინი — 53,50. ბირთვი. მერაბ ყურაშვილი — 17,23 მ. შუბი. ამბროსი მატიაშვილი — 68,20 მ. ურო. იოსებ შავერდაშვილი (ყველა — საქართველო) — 78,12 მ (საქართველოს რეკორდი). გუნდური. საქართველო — 370 ქულა; 2. აზერბაიჯანი — 193; 3. მოლდოვა — 104.

სან-პაულუ. „მობილ გრან პრი" (იაფვის ტურნირების სერია). ვაჟები: 100 და 400 მ. რობსონ და სილვა (ბრაზილია) 10,18 და 45,06. 200 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 20,02 (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში). 800 მ. ჟოზე-ლუის ბარბოზა (ბრაზილია) — 1.45,92. 1500 მ. მარიო სილვა (პორტუგალია) — 3.38,58. 5000 მ. ბრაჰიმ ბუტაიბი (მაროკო) — 13.42,87. 110 მეტრი თარჯრბენი. ჩეკ პირსი — 13,39. სიგრძე. ლარი მირიქსი — 835 სმ. ჰოკი. დინ სტარკი (ყველა აშშ) — 580 სმ. ქალები: 100 და 200 მ. გვენ ტორენსი (აშშ) — 11,22 და 22,60. 400 მ. მარია ფიგეირედუ (ბრაზილია) — 53,68.

კლივლენდის მარათონი (აშშ). ბოლ კიბკოეჩი (კენია) — 2:14.26; 2. ანატოლი კორეპანოვი (სსრკ) — 2:16.08; 3. დელმირ დე სანტოსი (ბრაზილია) — 2:16.22;

მოდესტო (აშშ). საერთაშორისო ტურნირი. 100 მ. 1. ლეროი ბარელი — 10,02; 2. ჯეფ უილიამსი — 10,19; 200 მ. თომას ჯეფერსონი — 20,54; 110 მ. თარჯრბენი. ტონი დისი — 13,25. სიგრძე. მაიკლ პაუელი (ყველა აშშ) — 849 სმ. (სეზონის საუკეთესო შედეგი).

### ცურვა

საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. ქალები. 50 მ. ბრასით. 1. ნინო მელაძე (რუსთავი) — 35,4. 100 მ. თავისუფალი სტილით. 1. სვეტლანა შივცოვა (თბილისი-1) — 1.08,3. 200 მ. გულაღმა. 1. ეკა რატიანიძე (თბილისი-1) — 2,31.0. 50 მ. ბატერფლაით. 1. ნელი ზოსიმოვა (თბილისი-2) — 31,4. 100 მ. ბრასით. 1. დიანა სავჩენკო (თბილისი-1) — 1.16,4. 400 მ. თავისუფალი სტილით. 1. თამუნა კიკნაძე (თბილისი-1) — 5,02,2. 400 მ. კომპლექსური. 1. ნინო გოგინაშვილი (რუსთავი) — 6.10,9. 50 მ. გულაღმა. 1. ეკა რატიანიძე — 32,6. 100 მ. ბატერფლაით. 1. ალიონა სტარეცკაია (ქუთაისი) — 1.14,5. 200 მ. თავისუფალი სტილით. 1. თამუნა კიკნაძე — 2.18,5. 200 მ. ბრასით. 1. ნინო მელაძე — 2.15,8. 50 მ. თავისუფალი სტილით. 1.მარიეტა საფარიანი (თბილისი-1) — 29,9. 100 მ. გულაღმა; 1. ეკა რატიანიძე — 1.10,4. 200 მ. კომპლექსური. 1. მარიეტა საფარიანი — 2.35,4. 800 მ. თავისუფალი სტილით. 1. ოლღა კალაგრივაია (რუსთავი) — 11.26,0. ვაჟები 50 მ. ბრასით. 1. ვადიმ ზოლოტარიოვი (რუსთავი) — 30,3. 100 მ. თავისუფალი სტილით. 1. გიორგი დათეშიძე (თბილისი-1) — 55,7. 200 მ. გულაღმა. 1. დავით ნიჟარაძე (თბილისი-1) — 2.13,6. 50 მ. ბატერფლაით. 1. კახა პეტრიაშვილი (თბილისი-1) — 26,2. 100 მ. ბრასით. 1. ვადიმ ზოლოტარიოვი — 1.08,0. 400 მ. თავისუფალი სტილით. 1. ალექსანდრე გურჯიდი (თბილისი-2) — 4.16,9. 400 მ. კომპლექსური. 1. ვლადიმერ სტეპანოვი (თბილისი-1) — 4.52,6. 50 მ. გულაღმა. 1. დავით ნიჟარაძე — 28,4. 100 მ. ბატერფლაი. 1. კახა პეტრიაშვილი — 57,3. 200 მ. თავისუფალი სტილით. 1. ანდრეი შიუვინი (თბილისი-1) — 2.02,1. 200 მ. ბრასით. 1. ვადიმ ზოლოტარიოვი — 2.34,0. 50 მ. თავისუფალი სტილით. 1. დიმიტრი პანარიოვი (რუსთავი) — 24,7. 100 მ. გულაღმა. 1. დავით ნიჟარაძე — 1.01,6. 200 მ. კომპლექსური. 1. ვლადიმერ სტეპანოვი — 2.14,9. 1500 მ. თავისუფალი სტილით. 1. ალექსანდრე გურჯიდი — 17.12,6. გუნდური ჩათვლა. 1. თბილისი-1 — 1179; 2. თბილისი-2 — 785, 3. რუსთავი. — 677.

### ტყვიის სროლა

საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. თბილისი. 15-20 მაისი. ქალები. პპ-2. 1. ნინო სალუქვაძე — 484 ქულა; 2. ნინო უჩაძე — 468; 3. ოლგა სამოილენკო (ყველა — თბილისი) — 459. პშ-4.17 დიანა ავეტისიანი — 478; 2. ხათუნა ბერიკაშვილი — 469; 3. ნატალია ვანიჩენკო (ყველა — თბილისი) — 462. ვაჟები. პპ-3. 1 მამუკა ბოსტოღანაშვილი — 666; 2. სერგეი ოლიფერენკო — 657; 3. ზურაბ თოთიაური — 654. პშ-6. 1. არტემ ძამოევი — 659; 2. სერგო სარქისიანი — 656; 3. ოლეგ ოგოლენკო (ყველა-თბილისი) — 646. პშ.-12.1. ილია ჩაგანავა (ქუთაისი) — 689, 2. დავით აფციაური — 683; 3. სერგო ხერხეულიძე (ორივე-თბილისი) — 617.

### რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი. 18-19 მაისი.

ეროვნული ლიგა: (15.V „აია" 32 — „შევარდენი" 0); „შევარდენი" 3 (3) (1ს) — „ვესტა" 70 (28) (14 ლ, 7გ); „მიმინო" 6 (3) (2ს) — „აია" 28 (9) (3 ლ, 2გ, 2ს, 2ა); „გელათი" 31 (13) (5ლ, 4გ, 1ს) — „რაში" 4 (0) (1 ლ).

ამერის ლიგა: „ივერია" 17 (3) (3ლ, 1გ, 1ა) — „სამედიცინო" 4 (4) (1ლ); სხვი „მარიხი" 7 (4) (1ლ, 1ა) — „უნივერსიტეტი" 0; „რუსთავი — 1990" 48 — „მეორე აკადემია" 6.

იმერის ლიგა: „სათაფლია" (წყალტუბო) 14 (7) (2ლ, 1ს, 1ა) — „ჯანი" (ჩოხატაური) 6 (6) (1გლ).

საერთაშორისო შეხვედრა: ვანგანუი (ახალი ზელანდია). ვანგანუი 18 (6) — რუმინეთი 26 (13).

### ქართული ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. საგარეჯო. 56 კგ: 1.გ. მამისაშვილი (საგარეჯო); 2. დ.ჩიკაშუა (ოზურგეთი); 3. ა.ხარაბაძე (ქუთაისი). 60 კგ: 1.ზ.ალიბეგაშვილი (ქარელი); 2. მ.ტეტუნაშვილი (გორი); 3. დ.ბალახაშვილი (ყვარელი). 64 კგ: 1. ი. ათაბეგაშვილი (საგარეჯო); 2. ა.ავაზნელი (გორი); 3. მ.კურდღელაშვილი (საგარეჯო). 68 კგ: 1. ზგუელიაშვილი (თბილისი); 2. ბ.ბასილაშვილი (საგარეჯო); 3. ხ.ხაჩიაშვილი (გურჯაანი). 72 კგ: 1.რ. გოგიშვილი (კასპი); 2. ა.ბოზრევანიძე (ოზურგეთი); 3. ზ. ალექსაშვილი (საგარეჯო). 78 კგ: 1. ბ.გიორგაშვილი (გორი); 2. ვ.გულაშვილი (კასპი); 3. ზ.ბლიაძე (თბილისი). 81 კგ: 1. შ.მაზმიშვილი (გორი); 2. ვ.ერაშვილი (კასპი); 3. ი.ჯინჭარაძე (საგარეჯო). 90 კგ: 1. ი.გამხიტაშვილი (კასპი); 2. ფ.უვავილაშვილი (რუსთავი); 3. გ.მოსიაშვილი (ქუთაისი). 90+ კგ: 1.ა.ჯალაბაძე (გორი); 2. ბ.კუპატაძე (საგარეჯო); 3. ი.ჯალაბაძე (გორი).

### ხელბურთი

ევროპის საკლუბო ტურნირები. ვაჟები. ფინალები. ჩემპიონთა თასი: „ბარსელონა" (ესპანეთი) — „პროლეტერი" (იუგოსლავია) 20:17, 21:23, ფედერაციის თასი: ცსკა (სსრკ) — „ბორაცი" (იუგოსლავია) 24:23, 15:20.

### ფეხბურთი

ევროპის ახალგაზრდული პირველობა (16 წლამდე). შვეიცარია. ნახევარფინალი: გერმანია — საფრანგეთი 1:1, პენალტებით — 6:5; ესპანეთი — საბერძნეთი 1:0; ფინალი: ესპანეთი — გერმანია 2:0.

---

ფეხბურთი

უეფას თასი

ფინალის საპასუხო მატჩი

# 26 წლის შემდეგ

**22 მაისი. რომი. „რომა"-„ინტერი" 1:0 (0:0)**

„რომა": ჩერვონე, ტემპესტილი (სალსანო, 56), ბერთოლდი, ჯეროლინი, ალდაირი, ნელა, დეზიდერი (მუცი, 63), დი მაურო, ჯიოლერი, ჯანინი, რიცატელი.

„ინტერი": ძენგა, ბერგომი, ბრემე, ბატისტინი, ფერი, პაგანინი, ბიანკა, ბერტი, კლინსმანი, მათეუსი, პიცი (მანდორლინი, 63).

მსაჯი: კინიუ (საფრანგეთი).

გოლი: რიცატელი (80).

გააფრთხილეს: ტემპესტილი, კლინსმანი, ბიანკი.

გუშინწინ რომის ოლიმპიურ სტადიონზე უეფას თასის ფინალის საპასუხო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის გუნდები — „რომა" და „ინტერი". „რომას" წინაშე ძნელი ამოცანა იდგა: მასპინძლებს „ინტერის" მიერ პირველ მატჩში მოპოვებული ორბურთიანი სხვაობა უნდა გაებათილებინათ.

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტრიბუნები სავსე იყო, გარდა ერთი სექტორისა, რომელიც პოლიციამ მოწინააღმდეგე გუნდების გულ-შემატკივრების განსაცალკევებლად დატოვა. შეხვედრას 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. მხოლოდ გაყიდული ბილეთებით მიღებულმა მოგებამ „რომას" ისტორიაში სარეკორდო თანხა — 4 მილიარდ ლირაზე მეტი შეადგინა.

შეხედრა „რომას" შეტევებით დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი „ინტერის" კართან უკვე მეხუთე წუთზე შეიქმნა, როცა „რომას" თავდამსხმელი რიცტელი ორ მცველს გასცდა და ახლო მანძილიდან დაარტყა. ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა კარს.

რომაელი ფეხბურთელების შეტევებს „ინტერმა" ტიპიური იტალიური „კატენაჩოთი" უპასუხა. სტუმრებმა დათმეს მოედნის შუაგული და მხოლოდ კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს „რომას" მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და გერმანელი კლინსმანი მარტო დატოვეს, მაგრამ „ინტერის" თავდამსხმელმა ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა: მისი თავური დარტყმა კარს აცდა.

„რომას" საკმაოდ მრავალრიცხოვან შეტევებს სიმწვავე აკლდა და პირველ ტაიმში ისინი უშედეგოდ დამთავრდა. ტაიმის მიწურულს ძენგას კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა: ჯერ დეზიდერის უძლიერესი დარტყმა მცირე მანძილით აცდა კარს, შემდეგ კი საქმეში უკვე ძენგა ჩაერია და ჯიოლერის დარტყმა მოიგერია.

„რომა" მეორე ტაიმშიც ფლობდა ტერიტორიულ უპირატესობას. მწვრთნელმა ბიანკიმ მოედანზე მცველის ტემპესტილის ნაცვლად ნახევარმცველი სალსანო გამოიყვანა. სალსანო აქტიურად ჩაება თამაშში და რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრა „ინტერის" კარს. მე-60 წუთზე მის მიერ დარტყმული ბურთი ძენგამ გაჭირვებით მოიგერია და „ინტერი" მხოლოდ მცველების თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა. მასპინძლებს გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მიზანს მე-80 წუთამდე ვერ მიაღწიეს. „ინტერის" მცველები საკმაოდ ზუსტად თამაშობდნენ და მეტოქეს ძენგას კართა მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. გოლი მე-80 წუთზე გაიტანა რუჯერო რიცატელიმ. ამის შემდეგ „რომას" ფეხბურთელებს მათ შორის ისევ რიცატელის, შეეძლოთ მეორე გოლის გატანა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა — 1:0. ამრიგად მილანის „ინტერმა" 26 წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაისაკუთრა ევროპის საკლუბო ტურნირის, ამჯერად უეფას თასი. მატჩის შემდეგ ლოთარ მათეუსმა აღნიშნა, რომ თასი შესანიშნავი საჩუქარი იქნება „ინტერის" მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპეტონისათვის, რომელიც ტოვებს გუნდს და მომავალ სეზონიდან „იუვენტუსს" უხელმძღვანელებს. მათეუსმა აგრეთვე თქვა, რომ კმაყოფილია ანგარიშით, თუმცა, დასძინა მან, „ინტერს" მატჩის ფრედ დამთავრებაც შეეძლო, მეტი იღბალი რომ ჰქონოდა. უეფას თასს ზედიზედ მესამედ დაეუფლა იტალიის გუნდი: შარშანწინ თასი „ნაპოლიმ" მოიპოვა, შარშან „იუვენტუსმა", ხოლო წლეულს „ინტერმა".



ჯოვანი ტრაპატონი მსოფლიოს ყველაზე ხელხვავიან მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი უპირველესია. ეს გამარჯვება მის ბიოგრაფიაში მეოთხეა ევროპის ტურნირებში. მანამდე „ტრაპმა" (როგორც მას იტალიელი ჟურნალისტები ეძახიან) სამივე თასი მოიპოვა ტურინის „იუვენტუსთან" ერთად. ახლა „იუვენტუსის" მესვეურთა სამომავლო იმედები ტრაპატონის ამ კლუბში დაბრუნებასთანაა დაკავშირებული.


კავკასიის ბირჟა

CAUKASIAN EXCHANGE

КАВКАЗСКАЯ БИРЖА

აქციონერები ირჩევენ:
აქცია — სახელობითი თუ პრივილეგირებული?

უბრალო სახელობით აქციის მფლობელი სარგებლობს ხმის უფლებით აქციონერთა საერთო კრებაზე, იგი შეიძლება არჩეულ იქნას ბირჟის მმართველ ორგანოებში, შექმნას საბროკერო ფირმა; რისკმა საბირჟო ოპერაციებზე შესაძლოა მოუტანოს არა მხოლოდ მოგება, არამედ წაგებაც.

პრივილეგირებული აქციის მფლობელს გარანტირებული აქვს 20 პროცენტიანი ფიქსირებული დივიდენდი. ასეთი აქციის პრივილეგია მისი შემოსავლის სტაბილურობაშია. ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობანი მის მფლობელს არ გააჩნია.

„კავკასიის ბირჟის" წესდების მიხედვით პრივილეგირებული აქციების საერთო თანხა შეადგენს საწესდებო ფონდის 10 პროცენტს, ანუ 8 მილიონ მანეთს. ამიტომ პრივილეგირებული აქციის მიღების უფლება პირველ რიგში მიეცემათ მათ, ვინც უფრო ადრე გახდა ბირჟის აქციონერი.

აქციონერებმა, რომლებსაც სურთ ფასიანი ქაღალდების გადაფორმება, უნდა მიმართონ „კავკასიის ბირჟის" საბირჟო საბჭოს დროებით კომისიას 1991 წლის 1 ივლისამდე.

მისამართი: ქეთევან წამებულის №71
სამუშაო დღეები, 10-დან17 საათამდე.

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება
„კავკასიის ბირჟა"
სარეკლამო სააგენტო
„მი-მი-ნო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

ჩემპიონატის ბოლოსწინა, 37-ე ტურში „მარსელმა“ „ოსერს“ უმასპინძლა. გამარჯვების შემთხვევაში „მარსელი“ ვადაზე ადრე ხდებოდა საფრანგეთის ჩემპიონი. მასპინძლებმა მოიგეს შეხვედრა (1:0). გოლი მატჩის 77-ე წუთზე თავური დარტყმით გაიტანა ფილიპ ვერკრუისმა. „მარსელმა“ ჩემპიონის წოდება ზედიზედ მესმედ მოიპოვა.

მეორე ადგილზე კვლავ „მონაკოა“. „მონაკომ“ შინ დაამარცხა „რენი“ 2:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს სოზეიმ და ფოფანამ, ხოლო სტუმართაგან — ფრანსუა ომამ-ბიიკმა.

„რენი“ ბოლო ადგილზე იმყოფება და პირველ ლიგაში დარჩენის თეორიული შესაძლებლობაც კი დაკარგული აქვს. „რენთან“ ერთად პირველ ლიგას დატოვებს „ბორდო“, რომელიც უკვე ორი თვეა არ დამარცხებულა და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. ამის მიუხედავად, უზარმაზარი ვალის გამო „ბორდო“ გაისად მეორე ლიგაში იასპარეზებს. 37-ე ტურში „ბორდომ“ საკუთარ მოედანზე ჩემპიონატის ბოლო მატჩი ჩაატარა და გაიმარჯვა (3:0). ორი გოლი ფერერიმ გაიტანა, ერთი-დეშანმა. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი ჟან-მარკ ფერერი მომავალი სეზონიდან „ოსერში“ ითამაშებს.

სხვა მატჩები: „პარი სენ-ჟერმენი“ — „ბრესტი“ 1:1, „მეცი“ — „კაენი“ 1:1, „კანი“ — „ტულონი“ 0:0, „ლილი“ — „ნანსი“ 0:2, „ნანტი“ — „ლიონი“ 0:0, „ტულუზა“ — „მონპელიე“ 0:0, „სენტ-ეტიენი“ — „სოშო“ 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარსელი“ | 37 | 21 | 11 | 5 | 66-28 | 53 |
| „მონაკო“ | 37 | 20 | 10 | 7 | 58-29 | 50 |
| „ოსერი“ | 37 | 18 | 10 | 9 | 61-35 | 46 |
| „კანი“ | 37 | 12 | 16 | 9 | 32-28 | 40 |
| „ლიონი“ | 37 | 14 | 11 | 12 | 38-44 | 39 |

## იტალია

„სამპდორიამ“ იტალიის ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება. 33-ე ტურში „სამპდორიამ“ შინ მოუგო „ლეჩეს“ 3:0. გოლები გაიტანეს ტონინიო სერეზომ, მანჩინიმ და ვიალიმ. „მილანი“ სტუმრად დამარცხდა „ბარისთან“ 1:2. „ბარის“ ორივე გოლი ბრაზილიელი ჟოაო პაულოს ანგარიშზეა, ხოლო „მილანის“ გოლი სიმონემ გაიტან.

უეფას თასის ფინალისტმა „ინტერმა“ და „რომამ“ თავიანთი მატჩები შაბათისთვის გადაიტანეს. „ინტერმა“ მოუგო „ლაციოს“ 2:0 (კლინსმანი და ბატისტინი). „რომამ“ შინ ფრედ (1:1) ითამაშა „ნაპოლისთან“.

მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა „იუვენტუსმა“, რომელმაც „პიზას“ მოუგო (4:2). ორი გოლი ბაჯომ გაიტანა, თითო — სკილაჩიმ და ალესიომ. აღსანიშნავია, რომ იტალიის ჩემპიონატის მატჩებში სკილაჩის გოლი შარშანდელი ნოემბრის მერე არ გაუტანია.

სხვა მატჩები: „ატალანტა“ — „ჯენოა“ 0:0, „ბოლონია“ — „კალიარი“ 1:2, „ფიორენტინა“ — „ტორინო“ 0:0, „პარმა“ — „ჩეზენა“ 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამპდორია“ | 33 | 20 | 10 | 3 | 54-21 | 50 |
| „მილანი“ | 33 | 18 | 9 | 6 | 46-19 | 45 |
| „ინტერი“ | 33 | 17 | 10 | 6 | 54-31 | 44 |
| „ჯენოა“ | 33 | 13 | 12 | 8 | 49-36 | 38 |
| „იუვენტუსი“ | 33 | 13 | 11 | 9 | 45-30 | 37 |

## ინგლისი

ინგლისის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნოტინგემ ფორესტი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“. პირველ ტაიმში ნოტინგემელი პირსის მიერ გატანილ გოლს „ტოტენჰემმა“ ორი ბურთით უპასუხა. ერთი ბურთი სტიუარტმა გაიტანა, ხოლო მეორე, გადამწყვეტი გოლი მატჩის დამატებით დროში საკუთარ კარში შეაგდო „ნოტინგემისა“ და ინგლისის ნაკრების მცველმა უოლკერმა. „ტოტენჰემმა“ გაიმარჯვა (2:1) და მომავალ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად იასპარეზებს თასების მფლობელთა თასზე.

ფინალურ მატჩში მუხლის მყესი დაიზიანა „ტოტენჰემის“ ფეხბურთელმა პოლ გესქოინმა. მან მატჩის გაგრძელება ველარ შესძლო და მინდორი დასტოვა. გესქოინი საავადმყოფოში მოათავსეს და მეორე დღეს ოპერაცია გაუკეთეს. გესქოინი მუხლის ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს და ექიმები თვლიან, რომ ფეხბურთელი შემოდგომისთვისაც კი ვერ ჩადგება მწყობრში. გესქოინის ტრამვამ სათუო გახადა მისი გადასვლა რომის „ლაციოში“, რაც, ბრიტანეთის გაზეთების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილი იყო. ლონდონის „სანდი მირორი“ იმასაც კი წერდა, რომ „ლაციო“ გესქოინთან ერთად „ტოტენჰემის“ მეორე ვარსკვლავს — ლინეკერსაც ყიდულობდა. გესქოინი და ლინეკერი იტალიელებს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდებოდათ. ახლა, „ლაციომ“ შესაძლოა უკან დაიხიოს. კლუბის პრეზიდენტმა კალერიმ განაცხადა, რომ დაელოდებოდა ოფიციალურ შეტყობინებას „ტოტენჰემისაგან“ იმის შესახებ, თუ რამდენად სერიოზულია გესქოინის ტრავმა.

### 1990-1991 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 38 | 24 | 13 | 1 | 74-18 | 83 |
| „ლივერპული“ | 38 | 23 | 7 | 8 | 77-40 | 76 |
| „კრისტალ პალასი“ | 38 | 20 | 9 | 9 | 50-41 | 69 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 38 | 19 | 7 | 12 | 65-47 | 64 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 38 | 17 | 11 | 10 | 64-53 | 62 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 38 | 16 | 12 | 10 | 58-45 | 59 |
| „უიმბლდონი“ | 38 | 14 | 14 | 10 | 53-46 | 56 |
| „ნოტინგემ ფორესტი“ | 38 | 14 | 12 | 12 | 65-50 | 54 |
| „ევერტონი“ | 38 | 13 | 12 | 13 | 50-46 | 51 |
| „ტოტენჰემ ჰოთსპური“ | 38 | 11 | 16 | 11 | 51-50 | 49 |
| „ჩელსი“ | 38 | 13 | 10 | 15 | 58-69 | 49 |
| „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ | 38 | 12 | 10 | 16 | 44-53 | 46 |
| „შეფილდ იუნაიტედი“ | 38 | 13 | 7 | 18 | 36-54 | 46 |
| „საუთჰემპტონი“ | 38 | 12 | 9 | 17 | 58-69 | 45 |
| „ნორიჩ სიტი“ | 38 | 13 | 6 | 19 | 41-64 | 45 |
| „კოვენტრი სიტი“ | 38 | 11 | 11 | 16 | 42-49 | 44 |
| „ასტონ ვილა“ | 38 | 9 | 14 | 15 | 46-58 | 41 |
| „ლუტონ თაუნი“ | 38 | 10 | 7 | 21 | 42-61 | 37 |
| „სანდერლენდი“ | 38 | 8 | 10 | 20 | 38-60 | 34 |
| „დერბი ქაუნთი“ | 38 | 5 | 9 | 24 | 37-75 | 24 |

შენიშვნა: ფეხბურთელების არასპორტული საქციელის გამო ინგლისის საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებით „არსენალს“ გამოაკლდა 2 ქულა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 1 ქულა.

## ფეხბურთის რუქასთან

პორტუგალიის ჩემპიონი პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გახდა ლისაბონის „ბენფიკა“, რომელმაც 37-ე ტურში სტუმრად მოუგო „მარიტიმუს“ 2:0. „ბენფიკა“ ორი ქულით უსწრებს „პორტუს, რომელმაც დაამარცხა „ჟილ ვისენტე“ (2:0). ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა პორტუგალიაში პირად შეხვედრებში გამარჯვებულს ენიჭება „ბენფიკამ“ „პორტუსთან“ გამართულ ორ მატჩში სამი ქულა აიღო და ჩემპიონობა ვადაზე ადრე მოიპოვა.

**შოტლანდიის** თასის ფინალში „მაზერველმა“ დამატებით დროში დაამარცხა „დანდი იუნაიტედი“ 4:3.

ჰოლანდიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე 49-49 ქულა აქვთ „ეინდჰოვენს“ და „აიაქსს“. კვირას „აიაქსმა“ „ფეიენოორდი“ დაამარცხა (2:0), ხოლო „ეინდჰოვენმა“ მოუგო „ფორტუნას“ (3:0).

**შვეიცარიის** თასი მოიპოვა „სიონმა“, რომელმაც ფინალში ბერნის „იანგ ბოიზს“ სძლია — 3:2.

ბელგიის ჩემპიონატის 33-ე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონი „ანდერლეხტი“ და მეორე ადგილზე მყოფი „მეხელენი“. მატჩი დამთავრდა ფრედ (1:1). პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე “ანდერლეხტს“ 53 ქულა აქვს, „მეხელენს“ — 49, ხოლო „გენტს“ — 47. კვირას „გენტმა“ მოუგო „სერკლ ბრიუგეს“ — 2:1.

**უელსის** თასის ფინალში, რომელიც კარდიფში გაიმართა, „სუონსიმ“ მოუგო „რექსემს“ — 2:0 და თასი მოიპოვა.

გერმანიის ჩემპიონატის 30-ე ტურში „კაიზერსლაუტერნმა“ ქულა დაკარგა სტუმრად „ფორტუნასთან“ (0:0), ხოლო „ბაიერნმა“ დაამარცხა დორტმუნდის „ბორუსია“ (3:2) და „კაიზერსლაუტერნს“ კიდევ ერთი ქულით მიუახლოვდა. „კაიზერსლაუტერნს“ 42 ქულა აქვს, „ბაიერნს“ — 49, ხოლო „ვერდერს“ — 37. „ვერდერმა“ 30-ე ტურში შინ წააგო „შტუტგარტთან“ (0:1) და ჩემპიონობისათვის ბრძოლას გამოეთიშა.

ესპანეთის **ჩემპიონმა „ბარსელონამ“ 35-ე ტურში შინ წააგო სან-სებასტიანის „რეალთან“ — 1:3. მადრიდის „ატლეტიკომ“ დაამარცხა „ლოგრონიესი“ — 3:0. ფრედ (3:3) დამთავრდა მატჩი „ოსასუნასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის. „ბარსელონას“ 54 ქულა აქვს, „ატლეტიკოს“ — 47, ხოლო „ოსასუნას“ — 41.**

### საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

ინგლისი — სსრკ 3:1
აშშ — არგენტინა 0:1
ირლანდია — ჩილე 1:1

ქალთა გუნდები:
დანია — სსრკ 6:1



დიდი აჟიოტაჟი, ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის პოლ გესქოინის გარშემო, ერთობ სევდიანად დასრულდა. ინგლისის თასის ფინალში მიღებულმა მძიმე ტრავმამ „გაზა“ კარგა ხნით ჩამოაშორა ფეხბურთს. არადა მის გადაბირებას რომის „ლაციო“ ლამობდა და იტალიელები მზად იყვნენ ამ მიზნისთვის კლუბის ბიუჯეტიდან სარეკორდო თანხა გაეღოთ. მიუხედავად ამისა „ტოტენჰემი“ ყველაფერს აკეთებდა გესქოინის შესანარჩუნებლად. ამიტომ იყო 26 აპრილის „სარბიელში“ დასმული კითხვა: ვისი კერპი იქნება „გაზა“ მომავალ სეზონში, ლონდონელი „ფენებისა“ თუ რომაელი „ტიფოზების“? ახლა მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მტკიცედ ითქვას: ჯერჯერობით ორივე ბანაკი „მშრალზე“ დარჩა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...

## ევროპის ჩემპიონატი

### II ჯგუფი

#### სან-მარინო — ბულგარეთი 0:3

ოთხშაბათს სან-მარინოს ნაკრებმა მორიგი დამარცხება იწვნია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დებიუტანტები შინ დამარცხდნენ ბულგარეთის ნაკრებთან — 0:3.

შეხვედრას სულ რაღაც ექვსასამდე მაყურებელი დაესწრო. გამარჯვების მიუხედავად, ბულგარელებს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის თეორიული შესაძლებლობა აქვთ. შემდეგი მატჩი 5 ივნისს გაიმართება, როცა შვეიცარიის ნაკრები სან-მარინოელებს უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-7 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-6 | 5 |
| სან-მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-18 | 0 |

### IV ჯგუფი

#### იუგოსლავია — ფარერის კუნძულები 7:0

ჯგუფის ლიდერმა იუგოსლავიის ნაკრებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ბელგრადში მასპინძლებმა ფარერის კუნძულების ნაკრებს მოუგეს 7:0. ანგარიში თავური დარტყმით მე-20 წუთზე გახსნა ნაიდოვსკიმ. სამი წუთის შემდეგ პროსინეჩკიმ მეორე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში კიდევ 5 გოლი გავიდა. ორი გოლი პანჩევის ანგარიშზეა (50-ე და 74-ე წუთებზე), თითო გაიტანეს ვულიჩმა (65-ე წუთზე), ბობანმა (70-ე წუთზე) და მოედანზე მეორე ტაიმში გამოსულმა სუკერმა (86-ე წუთზე).

#### ავსტრია — ფარერის კუნძულები 3:0

ამ გუნდების პირველი შეხვედრა სენსაციური ანგარიშით დამთავრდა. შარშან ფარერის კუნძულების ნაკრებმა სძლია ავსტრიელებს მინიმალური ანგარიშით 1:0. ამჯერად ავსტრიელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს. მატჩს ზალცბურგში 13 ათასი მაყურებელი დაესწრო. მასპინძლები მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას და მიმდინარე ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვეს — 3:0. გოლები გაიტანეს ფაიტენბერგმა (მე-14 წუთზე), კნუცმა (48-ე წუთზე) და მეტლმა (64-ე წუთზე).

5 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან დანიისა და ავსტრიის ნაკრებები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-4 | 10 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| ჩრდილოეთ ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |
| ფარერის კ-ბი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-15 | 3 |

### VI ჯგუფი

#### ფინეთი — მალტა 2:0

ჰელსინკში ერთმანეთს ჯგუფის აუტსაიდერები შეხვდნენ. ფინეთის ნაკრებმა დაამარცხა მალტის გუნდი 2:0. გოლები გაიტანეს იარვინენმა და ლიტმანენმა.

ჯგუფში კვლავინდებურად ლიდერობს ჰოლანდიის ნაკრები. 5 ივნისს ჰოლანდიელები ფინეთში ითამაშებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 33 | 20 | 10 | 3 | 54-21 | 50 |
| პორტუგალია | 33 | 18 | 9 | 6 | 46-19 | 45 |
| საბერძნეთი | 33 | 17 | 10 | 6 | 54-31 | 44 |
| ფინეთი | 33 | 13 | 12 | 8 | 49-36 | 38 |
| მალტა | 33 | 13 | 11 | 9 | 45-30 | 37 |

## ივონა კინაღამ გავაღარიბეთ...

„სარბიელის“ ა.წ. მე-17 ნომერში ფეხბურთის მოყვარულებს ვაუწყებდით, რომ ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუუდ გულიტი, რომელიც ამჟამად იტალიის „მილანში“ თამაშობს, გასცილდა ცოლს — ივონას. გაიმართა სასამართლო პროცესი, რომლის განაჩენიც საკმაოდ მკაცრი იყო: გულიტმა 17000 დოლარი უნდა უხადოს თავის ყოფილ მეუღლეს... ყოველთვიურად. დიახ, ყოველთვიურად, და არა ყოველწლიურად, როგორც ამას ჩვენ გაუწყებდით.

ეტყობა თავი იჩინა საალიმენტო თანხების ჩვენებურმა, „საბჭოურმა“ გაგებამ და ჩვენ 17000 დოლარი ყოველწლიურ გადასახადადაც კი საკმაოდ სოლიდურ სასჯელად ჩავთვალეთ. მაგრამ დასავლური თემიდა სხვაგვარად სჯის და განსაკუთრებით მკაცრია მილიონერთა მიმართ.

„სარბიელი“ ბოდიშს იხდის მკითხველთან ამ უნებლიე შეცდომისთვის. ერთადერთი იმის იმედი გვაქვს, რომ რუუდ გულიტს არ ექნება წაკითხული „სარბიელის“ ის ნომერი და ამიტომ ვერ გამოიყენებს მას სასამართლოს გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად.



რუუდ გულიტი



დრაჟენ პეტროვიჩი

# პეტროვიჩი, დივაცი, კუკოჩი და სხვები

იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრებს რეალური შანსები აქვს გაიმარჯვოს ევროპის 1991 წლის ჩემპიონატში — ასეთია ექსპერტთა უმეტესობის აზრი. მათი მოსაზრება მხოლოდ იმ აზრს არ ეყრდნობა, რომ ფინალურ ტურნირში, რომელიც 24-29 ივნისს გაიმართება რომში, ვერ მოხვდა საბჭოთა ნაკრები. უწინარეს ყოვლისა ანგარიშგასაწევია ის, რომ იუგოსლავიის ნაკრები დომინირებს მსოფლიო სამოყვარულო კალათბურთში. 1989 წელს, იუგოსლავიელებმა მოიგეს ევროპის ჩემპიონატი, 1990 წელს უძლიერესები იყვნენ სიეტლის კეთილი ნების თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატზე ბუენოს-აირესში.

ამ გამარჯვებებში ლომის წილი უდევს ნაკრების უფროს მწვრთნელს დუშან ივკოვიჩს, რომლის ხელთ ახლაც ბრწყინვალე მოთამაშეები არიან. უპირველესად, აღნიშვნის ღირსია „უცხოელთა ტრიო“: დრაჟენ პეტროვიჩი და ვლადო დივაცი ნბეა-ს კლუბებიდან („ნიუ-ჯერსი ნეთსი“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“) და დინო რაჯა რომის „მესაჯეროდან“. ეს სამეული, ევროპის საუკეთესო კალათბურთელთან, სპლიტის „პოპ-84“-ის ლიდერთან, ტონი კუკოჩთან ერთად ნაკრების წამყვან ძალას წარმოადგენს.

მათ გარდა წინასწარ განაცხადში დუშან ივკოვიჩმა კიდევ 12 მოთამაშე დაასახელა: ველიმირ სრეტენოვიჩი, ველიმირ პერასოვიჩი, ზორან სავიჩი (სამივე — „პოპ-84“), ჟარკო პასპალი, ჟელიმირ ობრადოვიჩი, პრედგარ დანილოვიჩი, ზორან იოვანოვიჩი, მიროსლავ პესარსკი (ყველა — ბელგრადის „პარტიზანი“), იური ზდროვცა, რადისლავ ჩირჩიჩი (ორივე — ლიუბლიანის „ოლიმპია“), არიან კომაზეცი (ზაგრების „ზადარი“) და სლავიც კოპრივიცა (ბელგრადის იმტ).

ნაკრების საბოლოო შემადგენლობას ივკოვიჩი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაასახელებს.



გია ახალაძის ფოტო

აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებული დიმიტრი ზოლინი

თბილისში ჩატარდა კულტურისტთა ტრადიციული, რიგით მეოთხე ტურნირი „ოქროს საწმისი“. ასპარეზობაში მასპინძლებთან ერთად ჩაებნენ რუსეთის, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელმა ირაკლი კარსიმაშვილმა (70კგ), ოდესელმა ოლეგ ჟურმა (80კგ), ჩელიაბინსკელმა დიმიტრი ზოლინმა (90კგ) და მოსკოვის ოლქელმა ალექსანდრე ვასინმა (90კგ-ზე ზევით).

სწორედ ამ ოთხეულმა გაითამაშა აბსოლუტური პირველობა. მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა 40 წლის ზოლინმა, რომელსაც საბოლოოდ მსაჯებმაც აშკარა უპირატესობით მიაკუთვნეს გამარჯვება.

# ოლიმპიური ტურნირი „ფლეი-ოფის“ სისტემით

1992 წლის ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირის ოქროს მედლების მფლობელის ვინაობა გაირკვევა ფინალურ მატჩში, რომელშიც ორი საუკეთესო გუნდი წარსდგება ერთმანეთის პირისპირ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გაიმართა ფინეთში.

ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირი შეცვლილი ფორმულით ჩატარდება, რაც, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა აზრით, ასპარეზობას უფრო მეტ დაძაბულობას და დინამიზმს შემატებს. პირველ ეტაპზე 12 ნაკრები დაიყოფა ორ ჯგუფად. მათი შემადგენლობა განსაზღვრულია ახლახანს დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით. „ა“ ჯგუფში შევლენ შვეციის, აშშ-ს, ფინეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის ნაკრები გუნდები. „ბ“ ჯგუფში კანადა, სსრკ, ჩეხოსლოვაკეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ჰოლანდია.

ამ ეტაპზე შეხვედრები გაიმართება წრიული ფორმულით, ერთ წრედ. შემდგომ ეტაპზე ბრძოლას განაგრძობენ თითოეული ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი. მატჩები გაიმართება „ფლეი-ოფის“ სისტემით. მეოთხედფინალში „ა“ ჯგუფის გამარჯვებული შეხვდება „ბ“ ჯგუფის მეოთხე გუნდს, „ა“ ჯგუფის მეორე გუნდი შეხვდება „ბ“ ჯგუფის მესამე გუნდს და ა.შ. გაიმართება ნახევარფინალები, მატჩი მესამე ადგილისათვის და მთავარი ფინალი, რომელიც გამოავლენს 1992 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულს. სულ ოლიმპიურ ტურნირში, 16 დღის მანძილზე გაიმართება 46 მატჩი.

# პოლგარების ზოგიერთი საიდუმლო



(დასასრული)

## 7. როგორი დატვირთვაა დასაშვები ბავშვებისთვის?

ხშირად გვეკითხებიან, როგორ იტანენ ჩვენი ბავშვები დატვირთვას, ძალიან ხომ არ იღლებიან? ჩვენი პასუხი ასეთია: ნიჭიერ ბავშვს არასაკმარისი დატვირთვა უფრო ღლის. თუ მეცადინეობა საინტერესოა, მათი შრომისუნარიანობა შემოუსაზღვრელი ხდება. შემოქმედებითი მუშაობა, თუ იგი სურვილს, გეგმასა და ინტერესებს შეესატყვისება, ანაზღაურებს დაღლილობას. ამ აზრით პასუხსაგები მუშაობა არაფრით განსხვავდება თამაშისაგან. ამ გზით წარმოშობილი სიხარული დაღლილობას სიამოვნებად აქცევს.

გასაგებია, თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ ბავშვი კარგად და მხიარულად გრძნობდეს თავს. მას უნდა ჰქონდეს მშვიდი ძილისა და ძალების აღდგენის საშუალება. უნდა მივაქციოთ ყურადღება, რას ჭამს და რას სვამს.

აყენებს თუ არა ზიანს ბავშვის პიროვნებას ადრეული დატვირთვა? მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის პასუხი ამ კითხვაზე. ვნების მოტანა შეუძლია ტრადიციულ გზასაც, რომელიც ადრეულ ასაკში ბავშვის დაუტვირთაობას გულისხმობს. ამიტომ ჩვენი გზის მოსინჯვა, ექსპერიმენტის ჩატარება, არა მარტო სწორი, აუცილებელიც იყო.

## 8. თვითმყოფადობა

ჩვენი გოგონები, ჯერ კიდევ სულ პატარები, თვითონ ადგენდნენ დღის პროგრამას.

დილით ისინი დგებიან 8.30-დან 9.30-მდე (ეს დამოკიდებულია იმაზე, როდის გაიღვიძებენ), წვებიან 21.30-დან 22-მდე (როცა დაძინების სურვილი უჩნდებათ). დილით 30 წუთი სპორტულ ტანვარჯიშს ეთმობა. შემდეგ ან დამოუკიდებლად, ან მწვრთნელებთან ერთად ხსნიან საჭადრაკო ამოცანებს, სწავლობენ პოზიციებს, ათვალიერებენ საჭადრაკო ლიტერატურას და თამაშობენ სხვადასხვა ხანგრძლივობის პარტიებს. მოგზაურობის ან შეჯიბრების პერიოდში პროგრამა შედარებით მსუბუქია.

## 9. ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ

ჩვენი ექსპერიმენტის საშუალებით იმის ჩვენებაც გვინდოდა, რომ ქალები არც ერთ ინტელექტუალურ სფეროში არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. გასაგებია, თუ ქალს სურს მამაკაცის მიერ მიღწეული შედეგი გაიმეოროს, მან უნდა განიცადოს პირობებისა და შთაბეჭდილებების ანალოგიური ციკლი.

ჭადრაკში დისკრიმინაცია გაცილებით ძლიერია, ვიდრე მეცნიერებაში, ხელოვნებაში და ა.შ. სკოლაში გოგონები და ბიჭები ერთნაირ პირობებში არიან. ნიშნებს მათ ერთი პრინციპებით უწერენ. აზრად არავის მოუვა ლიტერატურაში ან მათემატიკაში გოგონებს ცალკე ჩაუტაროს საკონტროლო სამუშაო მათი შედარებით ნაკლები შესაძლებლობების გამო. საკვირველი იქნებოდა, ქალებისა და კაცებისათვის განსხვავებული ნობელის პრემიები რომ დაეწესებინათ. დისკრიმინაციული „თეორიები“ მოჭადრაკე ქალების შესახებ აკვიატებული აზრები უფროა.

ჩვენს გოგონებს მოჭადრაკე ვაჟებთან ბრძოლა ურჩევნიათ. მათი მიზანია მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონობას.

## 10. ვიაროთ წინ არჩეული გზით

ჩვენმა ალმზრდელობითმა ექსპერიმენტმა, რომელიც თითქმის ოცი წელია გრძელდება, ბევრი სიძნელის გადალახვა გვაიძულა. ჩემი მეუღლეც ასევე პედაგოგი, რუსულის, გერმანულისა და ესპერანტოს მასწავლებელი და მეც მთელ თავისუფალ დროს ჩვენი გოგონების აღზრდას ვახმარდით. ვსწავლობდით და სისტემაში მოგვყავდა სპეციალური ლიტერატურა. ყოველდღიურად უსასრულო მოთმინებით, ყურადღებითა და გაგებით ვმართავდით ჩვენი შვილების განვითარებას.

ამოგვეწურა საოჯახო ბიუჯეტი (მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალური წიგნებისა და ჟურნალების შეძენას დასჭირდა, ვინც სპეციალურ ლიტერატურას ყურადღებით არ ადევნებს თვალს, ის ვერ დარჩება სპორტულ ელიტაში. დიდძალი თანხა დაიხარჯა ტრენინგზე და შეჯიბრებებში მონაწილეობაზე). უკვე არჩეული გზის დასაწყისში ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდა უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციასთან და სხვა ინსტანციებთან — არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენი შედეგები ეღიარებინათ, არამედ იმისთვისაც, რომ შურისა თუ ცრუ პრესტიჟის გამო ხელი არ შეეშალათ მუშაობაში. წინააღმდეგობების მიუხედავად, თანმიმდევრულად მივიკვლევდით გზას, რომლის მართებულობას მოწმობს ის, რომ ჩვენი გოგონები ბედნიერები არიან.

ჩვენს შვილებს ნამდვილი ბავშვობა ხვდა წილად. ისინი აგებდნენ არა სილის ციხე-კოშკებს, არამედ ცოდნის ნამდვილ სასახლეს. მათ განიცადეს ის, რაც გამოჩენილმა გერმანელმა მოჭადრაკემ ტარაშმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „როგორც ჩანს, გონებრივი მუშაობა ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიამოვნების წყაროა, ხოლო ჭადრაკი გონებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი სახეა“.

მოამზადა
დავით ჯანელიძემ.

## აქეთური, იქითური...

სეულის ოლიმპიადის შემდეგ ბენ ჯონსონი და კარლ ლუისი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს სარბენ ბილიკებზე. და აი, არსებობს წინასწარი ცნობა, რომ მათი „გზები გადაიკვეთება“ „გრან პრის“ სერიის შეჯიბრებებში, რომელიც საფრანგეთში გაიმართება. ორგანიზატორთა ცნობით ორივე ათლეტმა წინასწარი თანხმობა განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც 1 ივლისს ჩატარდება ლილში. როგორც ცნობილი გახდა საფრანგეთში ჩავლენ სერგეი ბუბკა, საიდ აუიტა და მსოფლიო მძლეოსნობის სხვა ვარსკვლავები.

■ ■ ■

ჩოგბურთში ინგლისის ღია ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ უიმბლდონის ტურნირის წლევანდელი საპრიზო ფონდი ყველაზე მაღალი იქნება ამ შეჯიბრებების ისტორიაში — სპორტსმენთა დასაჯილდოებელი თანხაა 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი (6,8 მილიონი დოლარი). ვაჟებში ერთეულთა თანრიგში გამარჯვებული მიიღებს 240.000 გირვანქას (410 ათასი დოლარი), ქალებში — 216.000 გირვანქას (368 ათასი დოლარი). შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ უიმბლდონში 1867 წელს ვაჟთა შორის გამარჯვებულმა როდ ლეივერმა ორი ათასი დოლარი მიიღო, ხოლო ბილი-ჯინ კინგმა — 750. უიმბლდონი-91 გაიმართება 24 ივნისიდან 7 ივლისამდე.

■ ■ ■

ქოლერის ეპიდემიის გამო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჭაბუკთა შორის (17 წლამდე), რომელიც 16 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე უნდა გამართულიყო ეკვადორში, გადატანილია იმავე ვადებში მექსიკაში. ეკვადორი კი მსგავს ტურნირს 1995 წელს უმასპინძლებს. მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატის მასპინძელი იქნება იაპონია.

■ ■ ■

მიმდინარე წელი მართლაც ბედნიერი გამოდგა ფრანგი მოციგურავე იზაბელ დუშენესთვის. გარდა იმისა, რომ თავის ძმასთან ერთად ყინულზე ცეკვებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა, გულის სწორიც იპოვნა — წარსულში არანაკლებ პოპულარული ინგლისელი მოციგურავე ქრისტოფერ დინი. „სარბიელი“ უკვე წერდა, რომ ჯვრისწერა 18 მაისისათვის იყო დაგეგმილი. და აი, დათქმულ დღეს იზაბელი და ქრისი კანონიერი ცოლ-ქმარნი გახდნენ.

■ ■ ■

1980 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 36 წლის ერფურტელმა ჰარტვიგ გაუდერმა გადაწყვიტა დროე შეწყვიტოს უნივერსიტეტში სწავლა. მომავალმა არქიტექტორმა მთელი ყურადღება მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებაზე გადაიტანა. გაუდერის შემდეგი მიზანია ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადა.

■ ■ ■

ამერიკელმა კალათბურთელმა სტენლი რობერტსმა, რომელიც მადრიდის „რეალში“ თამაშობს, განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს დატოვოს ევროპა და დაბრუნდეს ნბა-ს რომელიმე კლუბში. ესპანური კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც ამჟამად კრიზისს განიცდის („რეალმა“ ამას წინათ წააგო კორაჩის თასის ფინალი იტალიის „კლეართან“), სურს დასახმარებლად მოუხმოს იუგოსლაველ დრაჟენ პეტროვიჩს, რომელიც ადრე წარმატებით იცავდა „რეალის“ ღირსებას, ახლა კი საკმაოდ უფერულად თამაშობს ნბა-ს კლუბ „ნიუ-ჯერსი ნეთსში“.

■ ■ ■

სსრ კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატიდან არასრული შემადგენლობით დაბრუნდა. შტუტგარტის სასტუმროდან გაიქცა ყველაზე მჩატე წონის მოჭიდავე ვუგარ ორუჯევი (48 კგ-მდე). მან პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნით მიმართა თურქეთის საელჩოს.

აქეთური, იქითური...

# „სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი“


გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.80.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.

კომერციული დირექტორი შოთა ჟულუხაძე.